

„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნათია ჭალაღიძე

მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში,
განათლების აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

განათლების მაგისტრანტ ნათია ჭალაიძის ნაშრომში „მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევები“ განხილულია მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული გამოწვევები, კომპეტენციის დადასტურებისა და მასწავლებლის შეფასების არსებულ სისტემები საქართველოში.

კვლევის მიზანია მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმების შესწავლა ისტორიულ ჭრილში და კარიერული წინსვლისათვის თანამედროვე მიდგომების შესაბამისი სტრატეგიებისა და აქტივობების განსაზღვრა, მათი მიღწევის გზების შეთავაზება.

კვლევის ამოცანები: 1. ინფორმაციის მოპოვება კვლევებისა და სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. 2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი 3. ზოგადი სურათის წარმოჩენა. 4. პრობლემების განსაზღვრა. 5. სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის მასწავლებლის წარმმართველი როლის დასაბუთება. 6. რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული წინსვლისათვის.

კვლევის მეცნიერული სიახლეა მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევის მიღების, პროფესიული ზრდის ეფექტიანი ფორმების, გზებისა და საშუალებების შერჩევა.

წყაროებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები. მასალები წარმოდგენილია მაგალითებით, რაც ამაღლებს მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

ნაშრომი განკუთვნილია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ორ თავს, რვა პარაგრაფს, დასკვნებსა და ლიტერატურის დასახელებას.

Annotation

The challenges of teacher professions, competence confirmation and teacher evaluation systems in Georgia are discussed in "The Modern Challenges of Teacher" in the work of Master of Education Natia Chaghalidze.

The goal of the study is to study the form of teacher training and qualification improvement in the historical context and to determine the strategies and activities relevant to modern approaches to career advancement, offering ways to achieve them.

Objectives of the research: 1. Get information through research and various sources. 2. Information Processing and Analysis 3. Presenting a General Picture. 4. Determine the problems. 5. To prove the role of the teacher's role in raising the quality of learning. 6. Develop recommendations for professional advancement.

The scientific novelty of research is the selection of the modern challenges of the teacher, the effective forms of professional growth, the ways and means.

Conclusions are based on analysis of sources and research results. Materials are presented with examples that enhance their practical application.

The work is intended for teachers and students.

The structure includes the introduction, the two chapters, the eight paragraphs, the conclusions and the title of the literature.

სარჩევი

შესავალი.....	5-7.
თავი I. ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები განათლების სიტემაში	
§1. მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები ისტორიულ ჭრილში.....	8-12.
§2. განათლების რეფორმები საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.....	13-24.
§3. უცხოეთის გამოცდილება სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.....	24-28.
§4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.....	29-32.
§5. მასწავლებლების პროფესიაში მოზიდვა და შენარჩუნება.....	32-39.
§6. მასწავლებლის როლი სწავლების პროცესში.....	39-48.
თავი II. XXI საუკუნის მასწავლებელი	
§ 1. სწავლების თანამედროვე სტრატეგიები.....	48-55.
§2. მასწავლებლის პროფესიული ეთიკა, ურთიერთობა მოსწავლეს, მშობელსა და კოლეგებს შორის.....	55-61.
§3. ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები.....	62-64.
დასკვნები და რეკომენდაციები.....	65-66.

შესავალი

თემის აქტუალობა. მოსწავლის სწავლის შედეგებზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი მასწავლებლის ხარისხია. დღეისათვის მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას. ეს გამოწვევებია მასწავლებლების სიჭარბე და დეფიციტი, მასწავლებლის რესურსის არაეფექტური გამოყენება და, რაც მთავარია, მასწავლებლის კომპეტენცია, როგორც მიდგომა, რომელიც შემდეგ ასპექტებს მოიცავს: ცოდნა (რალაცის); დამოკიდებულებები და ქცევები (ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცე მოცემულ კონტექსტში და რატომ უნდა მოიქცე ასე); განწყობები (ცვლილებებისათვის მზაობა, მოტივაციის გრძნობა); პროცედურული უნარები (ცოდნა იმისა, თუ როგორ შეასრულო სამუშაო); შემეცნებითი უნარები (კრიტიკული აზროვნება და ანალიზი); გამოცდილებაზე დაფუძნებული უნარები (ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოახდინო კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითა და სოციალური უნარების გამოყენებით);

კვლევის მიზანი: მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმების შესწავლა ისტორიულ ჭრილში და კარიერული წინსვლისათვის თანამედროვე მიდგომების შესაბამისი სტრატეგიებისა და აქტივობების განსაზღვრა, მათი მიღწევის გზების შეთავაზება.

კვლევის ამოცანები: 1. ინფორმაციის მოპოვება კვლევებისა და სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. 2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი 3. ზოგადი სურათის წარმოჩენა. 4. პრობლემების განსაზღვრა. 5. სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის მასწავლებლის წარმმართველი როლის დასაბუთება. 6. რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული წინსვლისათვის.

კვლევის მეთოდები: ინტერნეტ რესურსების მოძიება, დახარისხება და გამოყენება, ინტერვიუ, ანკეტური გამოკითხვა.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: „შპს კავკასიის ბიზნესის სკოლა“, სსიპ ქ.ქობულეთის N5 საჯარო სკოლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევების მიღების, პროფესიული ზრდის ეფექტიანი ფორმების, გზებისა და საშუალებების შერჩევა.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებისათვის არსებული წყაროების, უახლესი კვლევების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მასალები წარმოდგენილია ნიმუშების, სქემების, პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილების გაზიარების სახით.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წამოადგენს: სტუდენტები, მასწავლებლები, კერძოდ: კვლევის შედეგები დაეხმარება ბაკალავრიატის სტუდენტებს სწავლებისა და აღზრდის თეორიაში სემინარების მომზადებაში. განათლების მაგისტრებს შეეძლებათ გამოიყენონ ნაშრომი სწავლება/სწავლის მეთოდიკაში, როგორც დამხმარე მასალა. საშუალო სკოლის მასწავლებელს სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, ცხრა პარაგრაფის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისაგან. პირველ თავში – „ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები განათლების სიტემაში“– განხილულია მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმების ისტორიულ ჭრილში, მასწავლებლების მოზიდვა და შენარჩუნება. მასწავლებლის

როლი სწავლების პროცესში, ცვლილებები სქემაში მის მიღევამდე და რეგულაციის წესის ამოქმედებამდე. განხილულია ახალი წესი, რომლის მიხედვით უქმდება კრედიტების დაგროვების სისტემა და სტატუსიდან სტატუსზე გადასვლის გზად გამოცდა რჩება, ხოლო პედაგოგის პროფესიულ განვითარებას სკოლა დააკვირდება.

მეორე თავში - XXI საუკუნის მასწავლებელი შემოთავაზებულია სწავლების თანამედროვე მიდგომები და სტრატეგიები. მასწავლებლის პროფესიული ეთიკა, ურთიერთობა მოსწავლეს, მშობელსა და კოლეგებს შორის. ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. შემოთავაზებულია შეფასებისა და მონიტორინგის ფორმები სქემებისა და რეკომენდაციების სახით

ბოლოს კი მოცემულია ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევების მისაღებად. დასკვნები გაკეთებულია არსებული ინფორმაციისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე და მოიცავს ყველა იმ საკითხსა და პრობლემას, რომელზეც საუბარი არის აღნიშნულ ნაშრომში და ზოგადად არსებობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

თავი 1. ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები განათლების სიტემაში

§1. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალღების ფორმები ისტორიულ ჭრილში

განათლების ისტორიის შესწავლა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდუკას ძველთაგანვე ექცეოდა მნიშვნელოვანი ყურადღება. სწავლების მეთოდები და ფორმები თანდათან დახვენასა და სრულყოფას განიცდიდა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და დაუსრულებლად გაგრძელდება. მიგვაჩნია, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ის მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობა, რომელიც წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოგვეცა და გამოყენებადია დღესაც პედაგოგიური და მეთოდუკური თვალსაზრისით. მეცნიერებისა და პედაგოგებისათვის სადავო არ არის, რომ როგორც დავაყენებთ სწავლა-აღზრდის საკითხებს დანყებით კლასებში, შემდგომში სწავლების მაღალ საფეხურებზე ისე წარმართება სწავლებისა და აღზრდის პროცესი. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანყებით კლასებში სასწავლო საგნების პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მაღალმეცნიერულ დონეზე შემუშავებას და პრაქტიკულ რეალიზებას. მთავარია, სახელმძღვანელო იდეალურთან მეტად მიახლოებული იყოს და პასუხობდეს დროის მოთხოვნებს. მოსწავლის განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს.

სწავლება სუბიექტ-ობიექტის გარკვეული დამოკიდებულების ორმხრივი პროცესია. დღეისათვის შეიცვალა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. სუბიექტი თავისი ინტერესებითა და შესაძლებლობებით, ხოლო ობიექტი თავისი სურვილებითა და მიზნებით. საგანთა სწავლების სრულყოფის ერთ-ერთ პერსპექტიულ გზას წარმოადგენს შესასწავლი საგნების მეთოდუკური საფუძვლების გამოკვლევა, რაც საფუძველს უქმნის ახალი მეთოდური მიდგომით გაღრმავებული სწავლების სისტემის შექმნას. სწავლების მეთოდუკური საფუძვლების დამუშავება და მათი პრაქტიკაში დანერგვა სისტემური სწავლების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია და ინტელექტუალური საქმიანობის წარმატების საწინდარია.

საქართველოში ცარიზმის რუსეთი მიზნად ისახავდა განემტკიცებინათ თვითმპყრობელოური რეჟიმისადმი მორჩილების გრძნობა. განათლების მინისტრი 70-იან წლებში, აცხადებდა, რომ „რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა არარუსის განათლების ჭეშმარიტ მიზანს მათი გარუსება, რუს ხალხთან გათქვეფვა უნდა წარმოადგენდეს“. ამავე აზრს იზიარებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. ის წერდა: „სკოლამ ბავშვებში უნდა აღზარდოს და განავითაროს შეგნება კავკასიის მხარის ყველა ნაწილის შინაგანი ორგანული კავშირისა სახელმწიფოსთან, რომლის ძლევა მოსილ საფარველქვეშ მრავალმოდგიანი კავკასია ვითარდება, მტკიცდება და მდიდრდება“. მეფისდროინდელი რუსეთის არარუსი მოსახლეობისათვის არსებული სახალხო სკოლების ისტორია, მათ შორის საქართველოს მაშინდელი სკოლების ისტორიაც, იმის დასტურია, რომ ეს სკოლები ეროვნული გადაგვარების მიზნით იყვნენ შექმნილნი.

გორისა და ხონის სამასწავლებლო სემინარიებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო სკოლებისათვის კვალიფიციური მასწავლებლების მომზადების საქმეში. საშუალო სასწავლებლები ანიჭებდნენ მასწავლებლის წოდებას. საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ გიმნაზიების, სამასწავლებლო და სასულიერო სემინარიების, სამასწავლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულები, აგრეთვე უნივერსიტეტების და სასულიერო აკადემიების სხვადასხვა კურსიდან გამოსულნი, ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონე მასწავლებლები იყვნენ საქალაქო და სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, აგრეთვე დაწყებითი განათლების მქონე პირები, რომლებსაც მასწავლებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდათ სპეციალური გამოცდების ჩაბარების საფუძველზე.

მთელ საქართველოში XIX საუკუნის შუახანებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე დაწყებით საერო სკოლებში არცერთი უმაღლესდამთავრებული მასწავლებელი არ მუშაობდა. გიმნაზიებშიც ტარდებოდა გამოცდები, რომლის საფუძველზე მასწავლებლის წოდება ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც სათანადო გამოცდებს ჩააბარებდნენ.

გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც სასწავლო ოლქი მდებარეობდა. გამოცდას იბარებდა სასწავლო ოლქთან არსებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საოლქო ინსპექტორი (თავმჯდომარე) და გიმნაზიის მასწავლებლები. საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მინიჭებისათვის საჭირო იყო საცდელი გაკვეთილების ჩატარება სამაზრო ან საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად კი - სოფლის საერო ან სამრევლო სკოლებში. გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო ცნობა იმის შესახებ, თუ უმაღლესი სასწავლებლის რომელი კურსიდან გამოვიდა მასწავლებლის წოდების მიღების მსურველი. საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად დაწესებული იყო სრული და ნაწილობრივი გამოცდები. სრული გამოცდები უტარდებოდათ იმ პირებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და უნივერსიტეტის რამდენიმე კურსი, აგრეთვე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდათ უნივერსიტეტი, მაგრამ არა ის ფაკულტეტი, რომელთანაც დაკავშირებულია მასწავლებლობის მსურველის მომავალი სასწავლო საგანი; ნაწილობრივ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის სრული კურსი ჰქონდათ დამთავრებული. სპეციალური გამოცდებისაგან თავისუფლდებოდნენ ისტორია-ფილოლოგიის საიმპერატორო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტთან არსებული სამასწავლებლო სემინარიების კურსდამთავრებულები. სპეციალური და ნაწილობრივი გამოცდები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად ტარდებოდა უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით. დაწყებითი სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად კი იმ ქალაქებში, სადაც მდებარეობდა სასწავლო ოლქი. საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი განცხადებით მიმართავდნენ უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მსურველნი - სასწავლო ოლქის მზრუნველს. გამოცდები ტარდებოდა წერაში და ზეპირში. მსურველს უნდა მიეცა ორი საცდელი გაკვეთილი. თუ გამოსაცდელი პირი წერით სამუშაოში მიიღებდა

დამაკმაყოფილებელ შეფასებას, მაშინ დაუშვებდნენ ზეპირ გამოცდაზე, ხოლო შემდეგ ატარებდა საცდელ გაკვეთილებს. წერიტი და ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მსურველს ნება ეძლეოდა 10-15 დღის განმავლობაში დასწრებოდა სკოლაში იმ საგნის მეცადინეობას, რომელშიც თვითონ უნდა ჩაეტარებინა ორი საცდელი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი ტარდებოდა დაბალ კლასებში, მეორე - მაღალ კლასებში. მასწავლებლის წოდების მისაღებად მსურველს მთავარ საგნებში უნდა მიეღო ნიშანი „4“ მაინც, ხოლო დამხმარე საგნებში „3“ მაინც. გამოცდები ტარდებოდა მსურველის განცხადების საფუძველზე პირველი სექტემბრიდან პირველ მაისამდე. თითოეული მსურველის განცხადება არ უნდა გაგრძელებულიყო ექვს კვირაზე მეტ ხანს. იმ პირებს, რომლებიც ვერ ჩააბარებდნენ (არ ეყოფოდათ ქულები) ან ჩაიჭრებოდნენ, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ეძლეოდათ განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება. სამაზრო, საქალაქო, სამრევლო საშინაო და კერძო სკოლების მასწავლებლის წოდების მისაღებად გამოცდები ტარდებოდა იმ ქალაქებში, სადაც სასწავლო ოლქი, გიმნაზია და სამაზრო სასწავლებლები მდებარეობდა. დაწესებული იყო გამოცდაზე დასაშვებად ასაკი - ქალებისათვის არანაკლებ თექვსმეტი წლისა, ვაჟებისათვის - არანაკლებ ჩვიდმეტი წლისა. გამოცდები ბარდებოდა ყველა იმ საგანში, რომელიც ამ სასწავლებლებში ისწავლებოდა. წერიტი გამოცდები მარტო რუსულ ენაში ტარდებოდა. გამოსაცდელს უნდა დაეწერა მიცემული თემა და ეპასუხა კითხვებზე გრამატიკაში. როგორც წერიტი, ისე ზეპირი გამოცდები ტარდებოდა გიმნაზიის პროგრამით. მასალასთან ერთად გამოსაცდელს უნდა სცოდნოდა სწავლების ხერხები, რაც გათვალისწინებული იყო მეთოდის ერთ-ერთ არსებულ სახელმძღვანელოში. საცდელი გაკვეთილის თემა ეძლეოდათ ერთი დღით ადრე. წოდების მაძიებელი გამოცდას აბარებდა თუ მას სურდა მასწავლებლობა სამინისტროს სკოლის ორკლასიან სასწავლებელში. სემინარიის დაარსებამდე მასწავლებელთა კადრებს ამზადებდა ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ“ გახსნა 1866 წელს. საზოგადოება დაწყებით სკოლებს ხსნიდა კავკასიის მთიან რეგიონებში,

სადაც ადრე ქრისტიანი მოსახლეობა ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ, მათ თურქეთისა და სპარსეთის ზეგავლენით მუსულმანური სარწმუნოება მიიღეს. XIX საუკუნის ბოლოს 1900 წელს საქართველოში არსებობდა 21 საშუალო სასწავლებელი.

მოკლედ შევეხოთ საშუალო სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. საარქივო მასალებიდან ირკვევა: საშუალო სასწავლებლები საკმაოდ კარგად იყვნენ მომარაგებულნი სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოებით, რომლებიც ნებადართული იყო ოფიციალურად გამოსაყენებლად და კლასგარეშე კითხვისათვის. საშუალო სასწავლებლებში გამოიყენებოდა უნიფიცირებული სასწავლო სახელმძღვანელოები, მაგრამ ამ სახელმძღვანელოებს გააჩნდათ საკმაოდ სერიოზული ნაკლოვანებებიც. კერძოდ: მხედველობაში არ იყო მიღებული ნაციონალურ უმცირესობათა ეროვნული თავისებურებები და ხალხურობის პრინციპი. ერთხელ დამტკიცებული სახელმძღვანელოები დიდხანს რჩებოდნენ ძალაში არსებული ცვლილების გარეშე. ჯერ კიდევ 1866 წელს განათლების სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომ დამტკიცებული სახელმძღვანელო ძალაში დარჩენილიყო არანაკლებ ორ წელს.

პედაგოგებად მრავალი ათწლეულის განმავლობაში უპირატესად სკოლადამთავრებულებს ქირაობდნენ. მასწავლებლის კვალიფიკაციის დასაკმაყოფილებლად მცირე სპეციალური პედაგოგიური ცოდნის მიღება იყო საკმარისი. ორიოდე კურსის და პრაქტიკის საათების გავლის შემდეგ, კურსდამთავრებული სპეციალობასთან ერთად მასწავლებლის კვალიფიკაციასაც იღებდა. თუ დიპლომი ამგვარ კვალიფიკაციას არ მოიცავდა, მას გადამზადების მოკლევადიანი კურსების გავლა შეეძლო. რეალურად კი, სკოლებში ბოლო წლებამდე უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანებიც ასწავლიდნენ.

დაბალი სპეციალური მომზადების გათვალისწინებით, სახელმწიფო გარანტირებული შედეგების მისაღებად, მასწავლებლებს მკაცრ, რეცეპტის მსგავს მითითებებს აძლევდა. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პედაგოგიკის ქართულ სახელმძღვანელოებში ისიც კი აღწერილი იყო, მერხი სინათლისკენ როგორ უნდა

მდგარიყო და რომელი მხრიდან უნდა მიახლოებოდა მასწავლებელი მოსწავლეს. რუტინულ, მკაცრად გაკონტროლებულ გარემოში, მასწავლებლების პროფესიონალებად ჩამოყალიბების ალბათობა ძალიან დაბალი იყო.

§2. განათლების რეფორმები საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე

XX საუკუნის უკანასკნელ წლებამდე ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში განათლების ძირითადი მიზანი იყო იმ ცოდნის და უნარ - ჩვევების ათვისება, რომელიც კაცობრიობას დაუგროვებია თავისი მრავალსაუკუნეობრივი განვითარების მანძილზე და რომელიც აუცილებელია პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად ინდუსტრიულ საზოგადოებაში. სასწავლო საგნები ეფექტურად უწყობდა ხელს საბჭოთა სისტემის შესაბამისი სოციალური დაკვეთის შესრულებას. ამჟამად საზოგადოება ხდება „ღია“, ინფორმაციული განათლების ძველი კონცეფცია აღარ შეესაბამება მის მოთხოვნებს. ტრადიციული შეხედულება სწავლებაზე, მის როლსა და ადგილზე ზოგად განათლებაში გადაისინჯება და ზუსტდება.

საბჭოთა საგანმანათლებლო სივრცისთვის დამახასიათებელი „კულტუროლოგიური“ მიდგომებისაგან განსხვავებით დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში ამჟამად გაბატონებულია პრაგმატული მიდგომა, რომელიც ჯერ კიდევ ჯ. დიუისგან იღებს სათავეს. თუკი სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის არსი რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლავაც წინა თაობათა ცოდნის და გამოცდილების გადაცემა-ათვისებაა, დასავლეთში განათლების საკითხი უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სასიცოცხლო, ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების

უმრუნველყოფას. განსხვავებანი „დასავლურ“ და „აღმოსავლურ“ მიდგომებს შორის აისახება სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მიზნებისა და მახასიათებლების დონეზე (სასწავლო შინაარსი, სწავლების მეთოდები, სწავლების ორგანიზაციის ხერხები, სწავლების საშუალებანი და ა. შ). კერძოდ, საკითხი ისმის ასე: თუკი სკოლის ძირითადი ამოცანაა გადასცეს ცოდნა (ე.ი. მოსწავლეები მხოლოდ ცოდნის მიმღებნი და ამთვისებელნი უნდა იყვნენ), მაშინ ვინღა უნდა შექმნას ახალი ცოდნა - ადამიანებმა, რომლებიც არ არიან სათანადოდ მომზადებულნი ამ ფუნქციის შესასრულებლად? ამ კითხვაზე რეაქცია რუსულ პედაგოგიურ აზრში XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა განმავითარებელი სწავლების კონცეფციის სახით, რომლის ცალკეული დიდაქტიკური მოდელები (პრობლემური სწავლება, პროგრამირებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება და სხვა), დამუშავდა საგნობრივ-მეთოდოლოგიურ დონეზეც, თუმცა კი მასობრივად ფეხი ვერ მოიკიდა ობიექტური და სუბიექტური მიზნების გამო. განვითარებასთან დაკავშირებული იდეები აისახა სკოლის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მიზნებზე, რომლის ერთი ვარიანტი მოყვანილია შემდეგ ჩამონათვალში:

- სწავლის სწავლება;
- ესთეტიკური გემოვნების ფორმირება;
- პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარება;
- რეალური ცოდნის მიღება ცალკეული სასკოლო საგნიდან;
- სწავლისა და ინტელექტუალური შრომის მიმართ ინტერესის გაღვიძება;
- ცალკეულ სასკოლო საგნებში ცნებათა სისტემის დაუფლება;
- ცალკეული საგნისათვის სპეციფიკური ცოდნის (მეთოდების, ქცევების) მიღება;
- საჭირო ინფორმაციის მოკრებისა და ანალიზისათვის ზოგად

ინტელექტუალური უნარ-ჩვევების დაუფლება (შემუშავება);

- მრწამსის, ფასეულობათა სისტემის და პოზიციის გამომუშავება;
- ინფორმაციის წყაროს გამოყენებისათვის საჭირო ცოდნის შექმნა;
- სწავლასა და ინტელექტუალურ მუშაობაში დამოუკიდებლობის განვითარება;

- ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნის ათვისება;
- შემოქმედებითობის უნარის განვითარება;
- კომუნიკაციისა და დიალოგის უნარის განვითარება;
- თვითშეფასებისა და თვითშემეცნების უნარის განვითარება;
- სხვადასხვა საგნებში შექმნილი ცოდნის დაკავშირების უნარის განვითარება;
- ბუნების კანონზომიერებათა გაგება;
- შექმნილი ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- ხელსაწყოებისა და მონყობილობების გამოყენებისა და მართვის სწავლა;
- მარტივი კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარების განვითარება.

1991 წელს საქართველო, რეფერენდუმის საფუძველზე, გამოეყო საბჭოთა კავშირს და მოიპოვა დამოუკიდებლობა. ბუნებრივია, მოხდა საბჭოთა სივრციდან გამოსვლა, ხოლო, მეორე მხრივ - დასავლური სივრცისკენ ორიენტაცია. ეს პროცესები აისახა ქვეყანაში მოქმედ ყველა სფეროზე. დაიწყო სერიოზული რეფორმების გატარება განათლების სისტემაშიც. ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში, 1991 წლიდან მოყოლებული, პირობითად, ოთხ ეტაპად შეიძლება დავეყოთ.

რეფორმის პირველი ეტაპი - 1991- 1996 წლები. საქართველოს განათლების სისტემის მონყობა, რუსეთის ხელისუფლების 200-წლიანი ბატონობის შემდეგ, პირველად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების, ქართველი ხალხის ნების შესაბამისად დაიწყო. სახელმწიფოში ამ მიმართებით გატარდა რიგი ღონისძიებებისა. კერძოდ, შეიქმნა დებულება საქართველოს პედაგოგთა ატესტაციის შესახებ.

დაიწყო ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ფონზე მიმდინარეობდა. 1991-96 წლებში, ვიდრე საქართველოში შემოვიდოდნენ დონორი ორგანიზაციები, საქართველოს განათლების სისტემის რეფორმები საკუთრივ ქართული ძალებითა და ქართული ორიენტაციით ვითარდებოდა. თუმცა ეკონომიკური და სოციალური კრიზისები ქვეყნის განვითარებისა წინსვლის საშუალებას არ იძლეოდა.

რეფორმის მეორე ეტაპი - 1996 – 2003 წლები. 1995 წლიდან, საქართველოში დაიწყო შემოსვლა დონორმა ორგანიზაციებმა, მათი პროექტების საშუალებით, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე გაეცნო და დაუახლოვდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებსა და დაკვეთებს. განსაკუთრებით გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა პედაგოგთა ფენა. განათლების რეფორმამ მოითხოვა ახალი პედაგოგიური მიდგომები და სტრატეგიები, რაც სრულიად უცხო იყო საბჭოთა პედაგოგიკისათვის და მასთან ინტეგრირებული ქართული პედაგოგიკური ტრადიციებისათვის. ამ პერიოდში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ყველა რაიონის მეთოდური ცენტრების ლიკვიდაცია - სისტემა დიდხანს დარჩა ამ ფუნქციის გარეშე, /მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნამდე; რაიონული განათლების განყოფილებების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად რესურსცენტრების შექმნა - სამინისტროსთან; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სასწავლო გეგმების ცენტრის დაარსება - სამინისტროსთან; სკოლებში მასწავლებელთა ატესტაციის წესები.

სამწუხაროდ, ამ პერიოდში რეფორმის ორიენტირები არ ეფუძნებოდა ქართული საზოგადოების დაკვეთებს, არ იყო მიმართული მემკვიდრეობითობის შენარჩუნებისა და განვითარების პრინციპზე. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყანაში არ მომხდარა.

რეფორმის მესამე ეტაპი - 2003 – 2012 წლები

2003 წლიდან ცვლილებები განათლების სფეროში სისტემურ ხასიათს ატარებდა. დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მიხედვით საჭირო იყო მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების ახალი პედაგოგიური მიდგომების დანერგვა, სკოლების ოპტიმიზაცია.

საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა პროექტი „ილია ჭავჭავაძე“, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება/ტრენინგები. მასწავლებელთა ტრენინგების სტრატეგიის

შემუშავება/განხორციელება; სკოლებისათვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით გრანტების გადაცემას, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რესურს-ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლებიც პედაგოგიურ კადრებს დახმარებას გაუწევდნენ მათი ფუნქციის შესრულებაში.

2007 წელს შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (tpdc.ge) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმთავრესი მიზანია მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებებია: მასწავლებელთა ტრენინგები სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში. ტრენინგი სასწავლო პრაქტიკაში ცვლილებების აუცილებლობის გაცნობიერებაზე. სასკოლო ქსელის საცდელი პროგრამების დანერგვა. აღნიშნულმა პროგრამამ ხელი შეუწყო სკოლებს შორის იზოლაციის დარღვევას და გამოცდილების გაზიარებას. შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო კანონს ზოგასაგანმანათლებლო სკოლის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მასწავლებელთა პროფესიული მომზადების შესახებ. 2007 წელს ცენტრმა შეიმუშავა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, რომელიც საფუძველი გახდება უმაღლესი სასწავლებლებისათვის შესაბამისი პროგრამების მოსამზადებლად. ამავე წელს ცენტრმა შეიმუშავა მასწავლებელთა სერტიფიცირების მოდელი. სასერტიფიკაციო გამოცდების საშუალებით (იგეგმებოდა 2008 წლიდან, თუმცა პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 2010 წელს) მასწავლებელს მიანიჭებდა მასწავლებლობის უფლებას. 2008 წელს ცენტრმა შეიმუშავა და დანერგა მასწავლებელთა მაძიებლობის ინსტიტუტი მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის სამუშაო ადგილზე ამაღლება და სატრენინგო პროგრამების მომზადება, თანამედროვე და ნოვატორული პედაგოგიური მეთოდების დანერგვა. 2008 წლიდან ცენტრი თავის საქმიანობას ორი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებით ახორციელებს:

- მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარება;

· კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი მომზადებისა და პროფესიაში შენარჩუნების ხელშეწყობა.

მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის ცენტრი ატარებს გრძელვადიან და მოკლევადიან ტრენინგებს ყველა საგანსა და პროფესიულ უნარებში. გარდა ამისა, იმართება სემინარები და კონფერენციენციები, რომლებშიც პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები. ცენტრი ასევე ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს: „ასწავლე საქართველოსთვის“ – მაღალმთიან რეგიონებში კვალიფიციური კადრების გაგზავნა; „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა; მაძიებლობის პროგრამა-დამწყები მასწავლებლებისთვის პედაგოგის პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა; ინკლუზიური განათლება-მეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობა; ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად-ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით სკოლებში ინგლისურენოვანი პედაგოგების ჩამოყვანა; ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის-არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის განვითარების ხელშეწყობა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა-სერტიფიცირებული მასწავლებლების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამა (მიმდინარეობს პილოტირება) მასწავლებლების მიერ სკოლის ბაზაზე მათი საჭიროებების დადგენა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. გარდა ამისა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შექმნილი აქვს დირექტორის, პროფესიული სასწავლებლის პედაგოგის და მაძიებლის სტანდარტები.

2010 - წელს შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლე. ცენტრის ერთ-ერთი მიზანია ქართული ენის განვითარებისა და ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის დამკვიდრების ხელშეწყობა.

2010 წელს დაიწყო პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელიც 2014 წლის ჩათვლით, ყველა პედაგოგს უნდა ჩაებარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის

გათვალისწინებით 2014 წლის შემდეგ მათ მასწავლებლობის უფლება ჩამოერთმეოდათ. მოგვიანებით, ხელისუფლება მიხვდა რა, რომ ეს შეუძლებელია, დაიწყო მუშაობა სტანდარტის ახალ ვარიანტსა და პედაგოგის განვითარების ახალ სქემაზე, რომლის შეცვლილ ვარიანტზე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს.

რეფორმის მეოთხე ეტაპი - 2012 - დღემდე

2012 წლიდან განათლების სფეროში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, დამტკიცდა მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტი, რომელიც შინაარსობრივად არ შეცვლილა, სტანდარტის დონეებად ჩაიშალა.

მასწავლებლების დამქირავებელი კონკრეტული სკოლაა და არა სახელმწიფო. მასწავლებლის პროფესიის ჩამოყალიბებისთვის ნორმატიული საფუძვლები, პროფესიული სტანდარტები და სერტიფიცირების მექანიზმები ბოლო წლებში შეიქმნა. პროფესიაში შესვლის უფლება მხოლოდ სპეციალური პედაგოგიური განათლების მქონეებს, ხოლო პროფესიაში მასწავლებლის სტატუსით დარჩენის უფლება მხოლოდ სერტიფიცირებულებს მიეცათ. ამით მასწავლებლობასა და სხვა პროფესიებს შორის მკაფიო საზღვარი გაივლო.

რადგან მასწავლებლობის სერტიფიკატის მოპოვება მოქმედი პედაგოგების მხოლოდ დაახლოებით ერთმა მეოთხედმა შეძლო, სახელმწიფომ პროფესიაში დარჩენის მოთხოვნები შეარბილა.

რადგან სკოლა საზოგადოების და არა მხოლოდ პროფესიულ დაკვეთას უნდა ასრულებდეს, მასწავლებელმა მოსწავლესთან და მის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით უნდა იმოქმედოს.

აქტუალური გახდა სწავლება/სწავლის მეთოდების საკითხიც, რადგან გაირკვა, რომ სწორედ ეს მეთოდები ამოდელირებს მოსწავლის ქცევას: თუ მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში პასიურია (მაგალითად, მხოლოდ „მზა“ ცოდნის მიმღები), მაშინ იგი ყალიბდება პასიურ პიროვნებად, ხოლო თუ მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში აქტიურია (ცხადია, ძირითადად იგულისხმება გონებრივი აქტიურობა, მაგალითად, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვება მასწავლებლის

ხელშეწყობით), მაშინ იგი ყალიბდება ინიციატივიან, მოქმედ და პროდუქტიულ პიროვნებად. თანდათანობით ცვლილება განიცადა სასწავლო პროცესის შინაარსმაც.

◇ „ტრადიციული“ სასწავლო პროცესის სქემა - ინფორმაციის შეტყობინება-დამახსოვრება - სიტყვა-სიტყვით აღდგენა, შედეგი: პასიური (ინერტული, რიტუალური, ...) ცოდნა.

◇ მოდერნიზებული სასწავლო პროცესის სქემა - ინფორმაციის გადაცემა (შეტყობინება + ახსნა) - გაგება+დამახსოვრება-აღდგენა (სიტყვასიტყვით ან გარდაქმნით) + გამოყენება (ნიმუშის მიხედვით ან შემოქმედებით) შედეგი: ქმედითი ცოდნა + უნარ-ჩვევები.

ინოვაციური სასწავლო პროცესის მახასიათებლები - მიზნები - განათლება, აღზრდა, განვითარება ამოცანები - „ტრადიციული“+ინტელექტუალური ოპერაციების ფორმირება შედეგები - ქმედითი ცოდნა + უნარ-ჩვევები + განწყობა დამოკიდებულებანი

აქტიური სწავლება/სწავლა - პრინციპი: არა მარტო „მზა“ ცოდნის ათვისება, არამედ „ახალი“ ცოდნის მოპოვება-დაუფლება. სასწავლო პროცესის შინაარსი: ცოდნის მართვადი კონსტრუირება. ფორმები: ინდივიდუალური, ჯგუფური, კოლექტიური სახეები: პრობლემური, პროგრამირებული, ინტერაქტიური. სასწავლო პროცესის ზოგადი სქემა: პრაქტიკა თეორია პრაქტიკა. გამოიკვეთა „მიღწევათა დონეების“ მიდგომა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიმართ მოთხოვნებში. მაგალითად, მოსწავლის შემეცნებითი პროცესის შედეგი შეიძლება იყოს ცოდნა დამახსოვრებით, გაგების, გამოყენების, ანალიზის, სინთეზის, შეფასების დონეზე. თითოეული მათგანის დაუფლება - ცალკე ამოცანაა, რომელსაც სპეციალური ძალისხმევა სჭირდება. „მიღწევათა დონეების“ მიდგომა ერთი კერძო გამოხატულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციისა, რომლის ძირითადი მახასიათებლებიც მოცემულია ქვემოთ მოტანილ ჩამონათვალში:

- მოსწავლის აქტიური როლი;
- მასწავლებლის ხელშეწყობი როლი;
- ჯგუფური აქტივობანი;
- ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული შინაარსი;
- მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება;

- დასჯის, გამოცდის, დაზუთხვის არარსებობა;
- შინაგანი დისციპლინის სტიმულაცია;
- აღმოჩენის და დამოუკიდებლად სწავლის სტიმულირება.

ამავე ტენდენციებს ასახავს სწავლების საშუალებათა, კერძოდ, სახელმძღვანელოების სახეცვლილება. ფაქტია, რომ მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციის პირობებში, განათლების სისტემა, რომელიც ამართლებდა 50 წლის წინათ, დღეს აღარ ამართლებს. დღეს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას განაპირობებს ეროვნული სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, საქართველოში მასწავლებლები 4 კატეგორიად იყოფიან: პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი. **პრაქტიკოსია** მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად; **უფროსია** მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც პრაქტიკოსის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე, აქვს შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები; **წამყვანია** პედაგოგი, რომელიც აკმაყოფილებს როგორც უფროსი პედაგოგის მოთხოვნებს, ასევე, პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს და შედეგებს უზიარებს კოლეგებს; რაც შეეხება **მენტორ** მასწავლებელს, ის გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს წამყვანი პედაგოგის ყველა მოთხოვნას, ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებსა და დამწყები მასწავლებლების პედაგოგიურ პრაქტიკას.

სქემით განსაზღვრული სტატუსები ეფუძნება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის მოპოვება დამოკიდებულია მისი

პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე. პირი, რომელიც აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში სქემაში ჩაერთვება უფროსი მასწავლებლის სტატუსით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის დასაწყებად და უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, განსაზღვრული საგნის გამოცდის ჩატარების წესს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. საგნის გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებელს;

ბ) ბაკალავრის, მაგისტრის ან/და მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც მიღებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საფეხურის ჯგუფის აკადემიური ხარისხი, ან/და სწავლობს აღნიშნული საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელ კურსზე, ასევე, სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს;

გ) მასწავლებლობის მსურველს, რომელსაც დიპლომის საფუძველზე აქვს მასწავლებლობის უფლება ან/და სწავლობს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელ კურსზე.

მასწავლებელს მიენიჭება ზემოთ ჩამოთვლილი სტატუსები, თუკი იგი დააგროვებს შესაბამისი სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრედიტულებს.

მასწავლებელი ინარჩუნებს პრაქტიკოსი მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსს ყოველი მომდევნო სტატუსის მინიჭებამდე. მენტორის სტატუსი მასწავლებელს ენიჭება უვადოდ.

ყოველი მომდევნო სტატუსის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა გაიაროს პროფესიული განვითარების თანმიმდევრული გზა. თითოეული სტატუსის მინიჭებისთვის

საჭირო კრედიტქულებს მასწავლებელი აგროვებს მომდევნო სტატუსის მინიჭებამდე. არის გამონაკლისი შემთხვევებიც როდესაც განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვანღმოსილ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება მიენიჭოს სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი.

რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი საგანმანათლებლო რეფორმით, დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ცვლილებები. გარდამავალი დოკუმენტი უკვე ძალაშია და „მასწავლებლის რეგულაციის წესის“ ამოქმედებამდე იმუშავებს.

პირველი ცვლილება სტატუსის შენარჩუნებას შეეხო. სისტემაში გვყავს უფროსი და წამყვანი მასწავლებლები, რომელთაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში ჰპირდებოდნენ, რომ სტატუსის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ცვლილებები აისახებოდა არსებულ სქემაში, რომლის თანახმადაც, მათ სტატუსის შენარჩუნებაზე ზრუნვა აღარ მოუწევდათ. აქედან გამომდინარე, ისინი, რა თქმა უნდა, ენდნენ ამ განაცხადს და აღარ აგროვებდნენ სტატუსის შესანარჩუნებლად განსაზღვრულ კრედიტქულებს. ცვლილებით, რომელიც გარდამავალ დოკუმენტში აისახა, მასწავლებლებს მიეცათ საშუალება, რომ სტატუსი ჩაეთვალოთ შენარჩუნებულად, ვიდრე მასწავლებელთა რეგულირების წესი არ ამოქმედდება და ის არ განსაზღვრავს რომელი სტატუსის მასწავლებელს რა სავალდებულო აქტივობა ექნება განსახორციელებელი იმისათვის, რომ პროფესიაში დარჩეს და მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება მისცეს.

მეორე ცვლილებით, თვითშეფასების კითხვარი სარეკომენდაციო ხასიათის გახდა. ეს ინსტრუმენტი მასწავლებელთა ნაწილისთვის მისაღები იყო. ახლა ნებაყოფლობითია და სავალდებულო აღარ იქნება. სკოლები, რომლებიც გადაწყვეტენ ამ ინსტრუმენტის გამოყენებას იმისთვის, რომ მასწავლებლის საჭიროებები დაადგინონ, მას გამოიყენებენ, თუმცა, ამის ვალდებულება აღარ ექნებათ. ასევე, შებლუდები იყო დანესებული

პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის მათ დამატებით აქტივობებში 5 კრედიტზე მეტის დაგროვების უფლება არ ჰქონდათ, რაც, კარიერულ წინსვლაში, გარკვეულწილად, დამატებით ბარიერებს უქმნიდათ. თუკი მასწავლებელს შექმნილი ჰქონდა სხვადასხვა რესურსი, განხორციელებული არაერთი აქტივობა, დასწრებული იყო ტრენინგებზე და ა.შ., ამის აღიარება ვერ მოხდებოდა 5-ზე მეტი კრედიტულით. ცვლილებით ეს შეზღუდვაც მოეხსნათ მასწავლებლებს. შეზღუდვა ვრცელდებოდა სამუშაო შეხვედრების რაოდენობაზეც წლის განმავლობაში, 3-ზე მეტ სამუშაო შეხვედრაზე არ შეიძლება ყოფილიყვნენ ჩართულები. თუკი მასწავლებლები კოლეგებს ხვდებიან და მათთან განათლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, ახლა ეს ყველაფერი უღიარდებათ და რაოდენობრივი შეზღუდვაც მოეხსნათ.

დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩაინერა კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რეფორმის ფარგლებში, საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებლებს სახელმწიფომ, პენსიაში გასვლის სანაცვლოდ, ჯილდო შესთავაზა. ისინი, ამ შეთავაზების არჩევის შემთხვევაში, პროფესიიდან გადიან ან უარს ამბობენ ჯილდოზე, პროფესიაში რჩებიან და გამოცდას აბარებენ. თუ მასწავლებელი, წელს, პირველად გადის გამოცდაზე, შესაძლოა, მან სრულად ვერ დააგროვოს საკმარისი კრედიტული შედეგ საფეხურზე გადასასვლელად. ამიტომ, ცვლილების თანახმად, პრაქტიკოს მასწავლებლებს კრედიტულების დაგროვების ვადა 2020 წლის იანვრამდე გაუხანგრძლივდათ. შესაბამისად, საშემოდგომო სემესტრში ისინი შეძლებენ გააგრძელონ კრედიტულების დაგროვება და შეავსონ სტატუსის ცვლილებისთვის საჭირო რაოდენობა. ამის გარდა, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, შემოდგომაზე გამოცხადებულ გამოცდაზე ისევ სცადონ ბედი გასაუმჯობესებლად ან ხელმეორედ ჩასაბარებლად, თუკი მაშინაც ვერ დააგროვებენ სტატუსის შესაცვლელად საჭირო კრედიტულების რაოდენობას, ისევ გააგრძელონ აქტივობებით შევსება.

პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის კრედიტულების დაგროვება და სტატუსის ამალღება 2020 წლის იანვრამდე გაგრძელდება და, როგორც უკვე აღინიშნა, კრედიტულებიც აღარ შეიზღუდება.

გარკვეული ცვლილება შეეხო უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლებსაც იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც აპირებენ წამყვანის სტატუსის მიღებას და დაგროვებული ექნებათ 15 კრედიტული როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი აქტივობებით, სექტემბერში, დამატებით გამოცხადდება გარედაკვირვება, რითაც შესაძლებლობა მიეცემათ, სტატუსი 2020 წლისთვის შეიცვალოს.

სიახლეა „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. იმის გამო, რომ მათ ინტენსიურად იმუშავეს, უღიარდებათ საგაკვეთილო დაკვირვებები და სამუშაო შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებოდნენ მხარდამჭერ ჯგუფებს, მუშაობდნენ ინდივიდუალური სასკოლო გეგმის განვითარებაზე. ამ განეული საქმიანობისთვის, მათ, დამატებით, 6 კრედიტული მინიჭებათ. ეს არის ის ძირითადი ცვლილებები, რომელიც სქემაში შევიდა.

§3. უცხოეთის გამოცდილება - სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესება

განათლების შესახებ გლობალური ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში განათლების ყველაზე კარგი სისტემა სამხრეთ კორეას აქვს. ასევე, აღსანიშნავია ფინეთიც, რომელიც იგივე რეიტინგში პირველ ადგილს იკავებდა 2012 წლის მდგომარეობით. რას გულისხმობს ფინეთის ან სამხრეთ კორეის განათლების სისტემები და რით განსხვავდებიან ისინი ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემებისგან?

სამხრეთ კორეული სწავლების მოდელი მოსწავლეებისგან დიდ ნებისყოფას, მძიმე შრომასა და თავდადებას მოითხოვს. ბავშვები მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ, როგორც სკოლის კედლებში, ასევე მის გარეთ. ბავშვებს ტრადიციულად სწამთ, რომ გრძელვადიანი ბედნიერებისთვის, მოკლევადიანი უბედურების პერიოდები უნდა განვლონ. მეცნიერები დააბნენ, რომ მიუხედავად სისტემის წარმატებისა საერთაშორისო რეიტინგებში, წარმატება მიიღწევა ბავშვების სტრესის ხარჯზე და აღნიშნული მოდელის გამეორება არ შეიძლება.

ფინური სასწავლო მოდელის მიხედვით, მთავარია სწავლა, და არა სწავლება. შესაბამისად, მოსწავლეები შედარებით მოკლე სასწავლო საათებს ატარებენ საკლასო ოთახებში, დროის ძირითადი ნაწილი კი არასაკლასო სამუშაოებს ეთმობა. ფინელებს სჯერათ, რომ ცოდნის ყველაზე დიდი ნაწილი სასწავლო კედლებს გარეთ მიიღება. ფინელი მასწავლებლები არ არიან ვალდებული დაემორჩილონ წინასწარ განსაზღვრულ რეგულაციებს, მათ აქვთ უფლება შეიმუშაონ საკუთარი ინოვაციური სასწავლო გეგმა და ჩაატარონ ექსპერიმენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში, როგორც დაწყებითი, ასევე უმაღლესი კლასების მასწავლებლებს მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა. მომავალ მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საუკეთესო აკადემიური მოსწრება და მასწავლებლის სამუშაოს იღებს კურსდამთავრებულების პირველი 10%. შესაბამისად, ფინეთში მასწავლებლები ღრმა პატივისცემითა და იგივე სტატუსით სარგებლობენ, რითაც ექიმები.

ფინური სისტემა ნაკლებად სტრესულია და გახსნილია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდებისადმი. შედეგად, განსხვავება ყველაზე საუკეთესო მოსწრებისა და ყველაზე დაბალი მოსწრების მოსწავლეებს შორის მინიმალურია მსოფლიოს მასშტაბით.

როგორც ვხედავთ, ეს ორი მოდელი სწავლების ორ ექსტრემალურ პოლუსს წარმოადგენს და სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ის თუ რომელი მათგანია უკეთესი და შეთავსებადი კონკრეტული ქვეყნისათვის დიდადაა დამოკიდებული აღნიშნული ქვეყნის ტრადიციებსა და სოციო-ეკონომიკურ პირობებზე.

ფინური განათლების მოდელის მიმართ ქართველი სპეციალისტების უმრავლესობა უარყოფითად იყო განწყობილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაზე მოკლე საგაკვეთილო საათი, მოკლე სასწავლო პროცესი, ყველაზე ხანგრძლივი არდადეგები და ხანგრძლივი დასვენების საათები საკმაოდ წარმატებული სისტემა აღმოჩნდა.

რაც შეეხება ქართული და ბრიტანული განათლების სისტემის ძირეულ განსხვავებებს ბრიტანელი მასწავლებლები მუშაობენ იმაზე, რომ მოსწავლე მხოლოდ

კონრეტული ფაქტის ცოდნით არ შემოიფარგლოს და ცდილობს, განუვითაროს, როგორც კრიტიკული შეფასების, ასევე დასკვნების გაკეთების უნარი. ბრიტანული სისტემა ისე არის აწყობილი, ახალი საგნის სწავლისას სპირალურად ვითარდება. არ არის ისეთი საკითხი, რომელსაც არ მიუბრუნდები და რომელსაც არ ჩაუღრმავდები.

საერთაშორისო კვლევის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთ წარმატებულ საგანმანათლებლო მოდელად ითვლება ესტონური მოდელიც.

ესტონური მოდელის წარმატების მიზეზებზე საუბრისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის ის, რომ ქვეყანაში განათლება არის პრიორიტეტი და ამ მიმართულებით დაინყეს აქტიურად მუშაობა. დიდი ყურადღება ბავშვის აღზრდას სკოლამდელი ასაკიდანვე ექცევა. მნიშვნელოვანია ის, რომ განათლება ხელმისაწვდომია ყველა ფენისთვის.

რაც შეეხება საქართველოს განათლების სისტემას, უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული კვლევების რიცხვი. ამ კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლებში პრობლემა კარგი მასწავლებლების ნაკლებობა კი არა, ცუდი მასწავლებლების სიჭარბეა. ამიტომ დგება საკითხი: როგორ მივაღწიოთ იმას, რომ სკოლაში არ მოხვდნენ შემთხვევითი, პროფესიაში ხელმოცარული ადამიანები? მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ძალიან რთულია სკოლისათვის არაკომპეტენტური მასწავლებლისაგან გათავისუფლება. ამას თუ დაუმატებთ ჩვენს ზოგიერთ რაიონში მასწავლებელთა ნაკლებობას, დაბალი კვალიფიკაციის პედაგოგების არსებობის პრობლემა კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პედაგოგთა კადრებთან დაკავშირებით მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ერთი – ეს არის სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებით და მეორე – სკოლისათვის შესაფერისი კადრების მოზიდვა-შერჩევა. კვლევები სამწუხარო სურათს გვიჩვენებს: მასწავლებლის პროფესიას ხშირად ირჩევენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით არ შეეფერებიან მასწავლებლის პროფესიას, არა აქვთ გაცნობიერებული ამ პროფესიის მნიშვნელობა, ეს კი ნიშნავს იმას,

რომ ისინი, სავარაუდოდ, კარგი მასწავლებლები ვერ იქნებიან. თუ ჩვენს რეალობას გავითვალისწინებთ, საქართველოში მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურების გამო ეს პროფესია კიდევ უფრო კარგავს მიმზიდველობას, რის გამოც ჭირს მასწავლებლობით ახალგაზრდების დაინტერესება.

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე დამუშავებულია სპეციალური თვითშეფასების ანკეტები სტუდენტებისათვის, მომავალი მასწავლებლებისათვის. ასეთი ანკეტები ეხმარება სტუდენტებს მასწავლებლის საქმიანობის სპეციფიკის გაგებაში და იმაში, რომ მათ უფრო გააზრებულად აირჩიონ პროფესია და მომზადებულები შეხვდნენ იმ გამოწვევებს, რომლებიც პედაგოგის პროფესიასთანაა დაკავშირებული. თუმცა ასეთ სტუდენტთა რიცხვი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მაინც მცირეა.

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური საშუალებებით შესაძლებელია გავლენის მოხდენა პედაგოგის პროფესიის მიმზიდველობაზე.

პედაგოგის პროფესიის სტატუსი არ წარმოადგენს ამა თუ იმ კულტურის უცვლელ მახასიათებელს და ზოგიერთ ქვეყანაში ის დროთა განმავლობაში იცვლება. სინგაპურის, ინგლისისა და ფინეთის მაგალითები მოწმობს, რომ სიტუაციის კარდინალური შეცვლა შესაძლებელია. სხვადასხვა ქვეყანაში შემჩნეულია კადრების შერჩევისადმი საინტერესო მიდგომები, მათ შორის:

- სარეკლამო პროგრამები, ორიენტირებული მასწავლებლობის კანდიდატების „არატრადიციულ“ ჯგუფზე;
- შერჩევის ინსტრუმენტების გაფართოება;
- სამუშაო სტაჟის გათვალისწინების ნორმების გადახედვა პედაგოგთა ამა თუ იმ დანესებულებაში დასაკავებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული სიტუაციები, როდესაც ახალბედა მასწავლებლებს გზავნიან რთულ და არაპოპულარულ სკოლებში, რაც უფრო მეტად აუარესებს მდგომარეობას ამ სკოლებში და შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზეც.

თუ კანდიდატი მასწავლებლობის დიდ სურვილს ამჟღავნებს, შერჩევის დროს ხანდახან უპირატესობა ენიჭება რთულად გაზომვად თვისებებს, ისეთებს, როგორებიცაა ენთუზიაზმი, შრომისმოყვარეობა და მოსწავლეთა მოთხოვნებისადმი გულისყურიანი დამოკიდებულება, რადგან ზოგ შემთხვევაში სწავლების ხარისხის კუთხით ისინი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შრომითი გამოცდილება და დიპლომი.

ფინეთი და ონტარიო არიან იმის მაგალითები, წინათ ცენტრალიზებულმა სისტემებმა როგორ გადაიტანეს აქცენტები:

- სწავლების სრულყოფილებაზე;

- მასწავლებლებისთვის ახალი იდეების გამოცდისა და კოლეგებისგან სწავლების საშუალებების უზრუნველყოფაზე;

- ერთიანი სტრატეგიისა და შესაძლო შედეგების კომპლექსის შემუშავებაზე როგორც პედაგოგებისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც;

- რეფორმის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე პედაგოგთა და პროფკავშირების მხრივ.

ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედების დიდი თავისუფლება მიენიჭა როგორც მთლიანად სკოლის კოლექტივს, ასევე თითოეულ მასწავლებელს. სხვაგან უფლებამოსილება გაეზარდათ სკოლებს, რომლებმაც შედეგები გააუმჯობესეს და შეუმცირდათ მათ, ვინც სირთულეებს განიცდის. ზოგიერთ ქვეყანაში სკოლის დირექტორი სტატუსით ოდნავ თუ განსხვავდება წამყვანი მასწავლებლისგან; სხვაგან ისევ ელიან, რომ სკოლის დირექტორი უხელმძღვანელებს მასწავლებლებს და მისცემს მიმართულებას მათ განვითარებას.

§4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

პროფესიული სტანდარტები განათლებაში გასული საუკუნის ბოლო წლებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში აქტუალური თემა გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანის განათლების სისტემაში. ზოგადად საგანმანათლებლო სტანდარტებზე დისკუსია პირველად მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მას შემდეგ დაიწყო, რაც მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგებმა პირველად დააფიქრა განათლების სისტემის მესვეურები, შემოეღოთ ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოსწავლეთა მიერ მისაღწევ მინიმალურ შედეგებს განსაზღვრავდა და დაეხმარებოდა მასწავლებლებს, ორიენტაცია აეღოთ, რა შედეგს უნდა მიეღწია მოსწავლეს სასწავლო პროცესის გარკვეული საფეხურის დასრულების შემდეგ.

მასწავლებლის სტანდარტის უპირველესი დანიშნულება მასწავლებელთა საქმიანობის პროცესის მართვა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა. სწორედ ის, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიონალი მასწავლებელი, განერილია სტანდარტში. ის უშუალოდ უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორცაა ეროვნული სასწავლო გეგმა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

სტანდარტი საფუძვლად უდევს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების, ასევე მასწავლებლის შეფასების ერთიან სისტემას. როგორც მოქმედი, ასევე, მომავალი მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემა მთლიანობაში იყოს განხილული.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2008 წელს დამტკიცდა, თუმცა მას შემდეგ აუცილებელი გახდა სტანდარტის პირველ ვერსიაში ცვლილებების შეტანა და მასწავლებლის სტანდარტის ძირითადი, პედაგოგიური ნაწილის დახვეწა ახალი გამოწვევების შესაბამისად. ასევე, 2014 წლის მარტში ცვლილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო მასწავლებელთა ოთხ სხვადასხვა საკვალიფიკაციო

კატეგორიად დაყოფა, რაც საფუძვლად დაედება პროფესიული განვითარების სქემის განახლებულ ვერსიას. 2017 წლის ივნისში სტანდარტმა ისევ განიცადა ცვლილებები.

აღნიშნული სტანდარტი, რომელიც საერთოა ყველა საგნის მასწავლებლისათვის, დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად: პროფესიული მახასიათებლები; სასწავლო პროცესის მართვა; პროფესიული განვითარება.

პროფესიული მახასიათებლები გულისხმობს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ერთობლიობას ყველა კატეგორიის მასწავლებლისთვის.

სასწავლო პროცესის მართვა გულისხმობს უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და მრავალმხრივი შეფასების სისტემის გამოყენებას.

პროფესიული განვითარება გულისხმობს მასწავლებლის დაინტერესებას საკუთარი პროფესიული განვითარებით; კოლეგებთან თანამშრომლობას მოსწავლეთა სასწავლო და აღმზრდელობითი პრობლემების დაძლევის, პროფესიული საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარებისთვის.

სტანდარტში განწერილია თითოეული კატეგორიისათვის აუცილებელი შესასრულებელი პირობები. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი საფუძვლად დაედება მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიულ განვითარების ერთიან სისტემას.

მასწავლებლის სტანდარტი მოიცავს იმ აუცილებელ პედაგოგიურ უნარსა და ცოდნას, რომელიც მოეთხოვება მასწავლებელს, რათა მან მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება შეძლოს. პედაგოგიური უნარების ტესტების ნაწილი ეფუძნება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითად ნაწილს.

მასწავლებლის სტანდარტის მეორე, საგნობრივი ნაწილი მოიცავს იმ საგანსა და საგნობრივ ჯგუფებს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სავალდებულო საგნებად არის გათვალისწინებული.

პროფესიული სტანდარტები განათლებაში კი გამოიყენება მომავალი კადრების მომზადებისა და ასევე მათი პროფესიული განვითარების მიზნით; თვითშეფასების მიზნით, რათა მასწავლებელმა ან სკოლის დირექტორმა თავად შეძლოს შეაფასოს, რამდენად არის შესაბამისობაში მისი ცოდნა და უნარები იმ სტანდარტებთან, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, როგორც მისაღწევი და სასურველი შედეგი.

სტანდარტი დინამიური დოკუმენტია და იგი პერიოდულად იცვლება. ცვლილებები სტანდარტში უკავშირდება პირველ რიგში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს- ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმა. როდესაც ცვლილებები შედის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ეს ცვლილებები აუცილებლად უნდა აისახოს მასწავლებლის სტანდარტშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს, რომ მოსწავლის მიერ მისაღწევია ისეთი შედეგები, რომლებიც არ არის ასახული მასწავლებლის სტანდარტში და მათი სწავლება მასწავლებელს, უბრალოდ, არ ევალუება. ამას გარდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სისტემატურად ხდება მასწავლებლის პროფესიის კვლევა, მოსწავლეთა მიერ მისაღწევი შედეგების გადახედვა და კორექტირება. მიმდინარე ცვლილებებზე მუდმივი დაკვირვებით, ადგილობრივად ჩატარებული კვლევებისა და სერტიფიცირების შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება ცვლილებები მასწავლებლის სტანდარტის დახვეწისა და მისი შესაბამისობის მიზნით საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან.

პროფესიული სტანდარტების კრიტიკოსების მთავარი არგუმენტი არის ის, რომ სტანდარტებმა გამოიწვია მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამების „გადავსება“ სასწავლო თეორიული მასალით და პრაქტიკის ნაკლებობა. რადგან მასწავლებლობა პრაქტიკული საქმიანობაა, კრიტიკოსები თვლიან, რომ მთავარი დატვირთვა მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განვითარების დროს უნდა ეთმობოდეს პრაქტიკას, გამოცდილებას და სისტემატურ წვრთნას, ნაკლებად გადაჭარბებული თეორიული ცოდნის მიღებას. მომავალი და მოქმედი მასწავლებლები აღჭურვილნი უნდა იყვნენ მეტი უნარებით, რომლებიც მათ პროფესიული და პიროვნული თვითგანვითარებისათვის ესაჭიროებათ. მასწავლებელმა თავად

გადაწყვიტოს, რა ესაჭიროება მას იმისათვის, რომ იყოს კარგი მასწავლებელი და არა სახელმწიფომ უკარნახოს ეს. კრიტიკოსები თვლიან, რომ ორი უმთავრესი პირობა მასწავლებელთა პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის არის ნდობა და თავისუფლება. მასწავლებელს ასევე ესაჭიროება არა სტანდარტების დანესება, არამედ ფუნდამენტური უნარების განვითარება, ისეთების, როგორცაა კვლევის ჩატარება, დროის მენეჯმენტი, თვითშეფასება, მოტივაციისა და კომუნიკაციის უნარი და სხვა.

სხვადასხვა საერთაშორისო კვლევის ჩატარებამ და შედეგების ანალიზმა ბევრი განვითარებული ქვეყანა დააფიქრა პროფესიული სტანდარტების აუცილებლობაზე განათლების სისტემაში. ამგვარი სტანდარტები იცავს ქვეყნებს საერთაშორისო დონეზე ცუდი შედეგების ჩვენებისაგან და ასევე განაპირობებს განათლების ხარისხის მართვას სახელმწიფოში. ამიტომ პირველადი კრიტიკისა და უნდობლობის მიუხედავად მასწავლებლის პროფესია მაინც რეგულირებად და სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება მრავალ ქვეყანაში.

პროფესიული სტანდარტების შემოღება, პირველ რიგში, „საფრთხეს“ უქმნის გამოცდილი და პროფესიაში დიდ ხანს მყოფი მასწავლებლის გამოცდილებასა და ცოდნას, რადგან სტანდარტები თავისთავად ბევრ სიახლეს ამკვიდრებს პროფესიაში და შესაბამისად მასწავლებელმა, მის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნასა და გამოცდილებას, კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს და გადასინჯოს ისინი ახალ მოთხოვნებთან მიმართებაში. პროფესიული სტანდარტების შემოღებამ მასწავლებელი მიაჩვია იმას, რომ ცოდნა სწრაფად იცვლება და მას სისტემატური განახლება სჭირდება. ზოგადად განათლების სისტემა და მით უმეტეს მასწავლებლის პროფესია ერთერთი ყველაზე კონსერვატიზმისკენ მიდრეკილი დარგი იყო ყოველთვის. პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება და მათი სისტემატური განახლება ამ მოძველებულ შეხედულებას თანდათანობით ამარცხებს.

§5. მასწავლებლების პროფესიაში მოზიდვა და შენარჩუნება

განათლების ხარისხი უშუალოდ არის დაკავშირებული მასწავლებლების კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმთან. პედაგოგებს პირდაპირი ზეგავლენა აქვთ სკოლის წარმატებაზე და სწორედ ამიტომ სკოლის ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა და მათი შენარჩუნება უნდა იყოს.

პედაგოგების მოზიდვა და შენარჩუნება ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რომელსაც შეიძლება სკოლის ხელმძღვანელობა წააწყდეს. ამ საკითხში მთავრობის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მთავრობის მიერ განხორციელებული დახმარების პროგრამები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სკოლას. შრომის მიმზიდველ პირობებს ძალუძს გააუმჯობესოს მორალური კლიმატი, შეამციროს კადრების გადინება და გაათავსოს პედაგოგთა კონტინგენტი. თუმცა სკოლამ თავადაც უნდა შეიმუშაოს მასწავლებელთა მოზიდვისა და შენარჩუნების პროგრამები და უზრუნველყოს მათი ეფექტური განხორციელება.

როგორ მოვიზიდოთ სკოლაში ნიჭიერი ახალგაზრდები და როგორ გავუჩინოთ პროფესიული განვითარების მოტივაცია მოქმედ მასწავლებლებს? როგორ ვაქციოთ მასწავლებლობა მიმზიდველ პროფესიად? საგანმანათლებლო სისტემებს შეუძლია მაღალი კლასის სპეციალისტების მოზიდვა არა მარტო ანაზღაურებით, არამედ იმ პირობებითაც, რომლებშიც მასწავლებელი პროფესიონალად ჩამოყალიბდება.

PISA კვლევის მონაცემების თანახმად, მსოფლიოს წარმატებული საგანმანათლებლო სისტემები სტუდენტებს სთავაზობენ ისეთი სახისა და ხარისხის განათლებას, რომელიც ნაკლებწარმატებულ სისტემებში მხოლოდ ელიტური უმცირესობისთვის არის ხელმისაწვდომი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა შეძლონ ყველასთვის უმაღლესი დონის პედაგოგიური მომსახურების უზრუნველყოფა. შემუშავდა თანამშრომლობის მიმზიდველი ფორმები, რომლებიც შესაბამისობაშია მუშაობის მოქნილ გრაფიკთან დასაქმების გარანტიით და რომელიც სკოლას საკმარის უფლებამოსილებას სთავაზობს პედაგოგიური კადრების მართვის კუთხით.

უნდა გავითვალისწინოთ სამუშაო ძალით სახელმწიფოს უზრუნველყოფა და მასზე მოთხოვნა და იმ სტრატეგიების მოფიქრება, რომლებიც მიმართულია პროფესიაში ახალგაზრდობის მოზიდვისკენ, ასევე – განსაზღვრულ საგნებში სპეციალისტების უკმარისობის პრობლემის მოგვარებისკენ.

იმ ქვეყნებშიც კი, სადაც განათლების სისტემას აქვს განსაკუთრებით ნიჭიერი კურსდამთავრებულების დასაქმების საშუალება, აღიარებენ, რომ სწავლების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რომელი სასწავლო დაწესებულება დაამთავრა მასწავლებელმა. პოტენციური პედაგოგები, რომელთა შორისაც ხდება არჩევა, განიცდიან გავლენას საზოგადოებაში გაბატონებული აზრისა მოცემულ პროფესიაზე, მათ შორის – საზოგადოებრივ სტატუსზე; შრომის პირობებზე; მასთან დაკავშირებულ შესაძლებლობაზე იგრძნონ, რომ შენს სამუშაო ადგილზე რაღაც შენზეც არის დამოკიდებული; მატერიალურ შემადგენელზე. ეს ფაქტორები ყურადღებით არის შესასწავლი, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა უკვე შეეჭახა პედაგოგიური კადრების დეფიციტს და მომავალში სიტუაცია გაუარესდება, რადგან ბევრი მასწავლებელი პენსიაზე გავა. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მოთხოვნები განათლების სფეროში დაბალანსებულია, ცალკეულ საგნებსა და სკოლებში არ ჰყოფნით პედაგოგები მოსახლეობის სოციალურად მგრძობიარე და იზოლირებული ჯგუფებისთვის.

ამ სფეროში გადაწყვეტილებები ორ სხვადასხვა დონეზე უნდა მიიღებოდეს. პირველი ეხება პროფესიის ხასიათს როგორც ასეთს და სპეციფიკურ პირობებს, რომლებშიც მასწავლებლები მუშაობენ. აქ ძალისხმევა საზოგადოდ მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლებისა და ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისკენ უნდა იყოს მიმართული. მეორეა კონკრეტული ზომები, რომელთა მიზანია მასწავლებელთა მოზიდვა ქვეყნის იმ რეგიონებში, იმ თემებში, იმ სპეციალიზაციებში, სადაც ისინი არ ჰყოფნით.

მასწავლებელთა მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სკოლის კარგი რეპუტაციაა (ეს ფაქტორი მოსწავლეთა მოზიდვის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია),

ამდენად, სკოლის დირექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა სკოლის დადებითი იმიჯის შექმნისათვის ეფექტური გზებისა და საშუალებების გამონახვაა. ამის განხორციელების საუკეთესო საშუალებაა ადგილობრივი პრესა და მედია.

ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში მასწავლებელთა მოზიდვის ქვემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიები შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს ნებისმიერი სკოლისთვის, მიუხედავად მისი გეოგრაფიული მდებარეობისა:

- სკოლასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის დამყარება;
- ალტერნატიული მოსამზადებელი პროგრამებიდან კანდიდატების მოზიდვა;
- პედაგოგთა მომზადების (დახელოვნების) პროგრამებიდან კანდიდატების მოზიდვა;
- დამწყები მასწავლებლებისათვის სხვადასხვა დახმარების პროგრამების შეთავაზება;
- კვალიფიციური პედაგოგებისათვის მაღალი სახელფასო ანაზღაურების უზრუნველყოფა;
- სკოლისათვის მნიშვნელოვან დისკიპლინებში მასწავლებლების გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა საქართველოს სკოლებისათვის ჩვეული და ფართოდ გავრცელებული სტრატეგია არ არის; მაგრამ ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო სისტემაში ცვლილებებთან ერთად სკოლები უფრო ადვილად უნდა ნერგავდნენ სიახლეებსა და ეფექტურ მიდგომებს სხვადასხვა საკითხების მართვაში. ამდენად, სასურველია, სკოლებმა გაითვალისწინონ ეს მიდგომა და საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების იმ ფაკულტეტებთან, რომლებიც მომავალ პედაგოგებს ამზადებენ.

პედაგოგთა მოზიდვის აღნიშნული სტრატეგიის დანერგვის მიზნით სკოლას შეუძლია სპეციალური ხელშეკრულება შეიმუშაოს ადგილობრივ ინსტიტუტებთან და უნივერსიტეტებთან, რომლის მიზანი იქნება დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის სკოლაში სტაჟირების შეთავაზება. სტაჟიორები შეიძლება იყვნენ

მასწავლებლების თანამშენებელი ან შეცვალონ ესა თუ ის მასწავლებელი გაცდენის (მაგალითად, ავადმყოფობის) შემთხვევაში. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად სტაჟიორ მასწავლებლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, დაესწრონ გაკვეთილებს და მონაწილეობა მიიღონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებში. საბოლოოდ, სკოლას საშუალება ექნება, წარმატებული სტაჟიორები პედაგოგებად დაიქირაოს: მათ უკვე ექნებათ სკოლაში მუშაობის გამოცდილება.

ერთ-ერთი კარგად აპრობირებული მეთოდია ასევე ალტერნატიული მოსამზადებელი პროგრამებიდან და პედაგოგთა მომზადების (დახელოვნების) პროგრამებიდან კანდიდატების მოზიდვა. ამისთვის აუცილებელია, რომ სკოლამ სათანადოდ გაცვალოს გამოცდილება იმ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან, რომლებიც ჩართულია ამ სახის საქმიანობაში. ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ სკოლის წარმომადგენელი, სასურველია, პირადად შეხვდეს პროგრამის მონაწილეებს. დამწყები მასწავლებლებისათვის დახმარების პროგრამების შეთავაზებით სკოლას მნიშვნელოვნად გაუადვილდება მასწავლებლების მოზიდვა. დამწყები პედაგოგების მოზიდვა სკოლისთვის სხვადასხვა თვალსაზრისით იქნება ხელსაყრელი: ახალგაზრდა და დამწყები პედაგოგები, როგორც წესი, ენთუზიაზმით სავსე და მოტივირებულები არიან; ამასთან, მათ მეტი ინტერესი, უნარი და მონდომება აქვთ ახალი იდეებისა და მიდგომების შეთვისებასა და დანერგვაში. პედაგოგების მოსაზიდად ერთ-ერთი ხერხი შეიძლება იყოს სპეციალური სარეკლამო ბუკლეტის დაბეჭდვა, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს სკოლის ძლიერ მხარეებზე, დამწყები პედაგოგებისათვის დაწესებულ შეღავათებზე, კვალიფიციური პედაგოგებისათვის მაღალი სახელფასო ანაზღაურების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომაა, თუმცა ეს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გავითვალისწინოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტური სიტუაციები პედაგოგებს შორის. ამის განსახორციელებლად საჭიროა სპეციალური პოლიტიკისა და პროცედურების განვითარება, რომელიც დაარეგულირებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც პედაგოგმა უნდა დააკმაყოფილოს იმისათვის, რომ სპეციალური სახელფასო კატეგორია მიაკუთვნონ.

მოთხოვნებში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, პედაგოგად მუშაობის რამდენწლიანი სტაჟი და განათლება (მათ შორის სპეციალური ტრენინგები) არის საჭირო უმაღლესი კატეგორიის პედაგოგთა რიგებში მოსახვედრად, რა მოთხოვნებია მეორე კატეგორიაში მოსახვედრად და ა.შ.

შესაძლებელია, სკოლის შედარებით კვალიფიციურმა პედაგოგებმა თავად ჩაატარონ გადამზადების კურსები მასწავლებლებისათვის, ან სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია ამ მიზნით ადგილობრივი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების პროფესორებისა და ადგილობრივი ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტების მონვევა.

მიმდინარე განათლების რეფორმის მიზანია, საშუალება მისცეს სკოლებს, დამოუკიდებლად მოიპოვონ დამატებითი თანხები სკოლის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. აქედან გამომდინარე, სკოლის ადმინისტრაციას უნდა შეეძლოს ურთიერთობის დამყარება დონორ ორგანიზაციებთან და სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან დამატებითი თანხების მოზიდვის მიზნით.

სკოლის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მასწავლებელთა კორპუსის შენარჩუნებას. სკოლამ შეიძლება წარმატებით მოიზიდოს კვალიფიციური პედაგოგები, მაგრამ თუ შესაბამის სამუშაო პირობებს არ შეუქმნის, ეს წარმატება შეიძლება არასასურველი შედეგებით დამთავრდეს და მასწავლებლებმა სკოლა დატოვონ.

პედაგოგთა შენარჩუნების პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალება მისი გამომწვევი მიზეზების მუდმივი ძიებაა, რისთვისაც საჭიროა შემდეგი საკითხების გარკვევა: რატომ შეიძლება ფიქრობდნენ მასწავლებლები სკოლის დატოვებას, რომელ სფეროებში ხვდებიან ისინი პრობლემებს, რაში ხედავენ სკოლის დადებით მხარეებს და ა.შ. მასწავლებელმა სკოლა შეიძლება სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვოს, თუმცა ამ მიზეზთა უმრავლესობა, როგორც წესი, დაკავშირებულია სკოლის ადმინისტრაციის მართვის არაეფექტურ სისტემასთან, რის გამოც პედაგოგებს მუშაობის პროცესში სხვადასხვა პრობლემები ექმნებათ. სწორედ ამიტომ სამეურვეო საბჭომ და სკოლის

დირექტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ამ პრობლემებს. ხშირად პედაგოგებისათვის ხელფასების მომატება მათი მოტივაციის გაზრდის პანაცეად ითვლება, მაგრამ იგი ყოველთვის როდია რეალური გამოსავალი. მასწავლებელმა ბევრი სხვა მიზეზის გამო შეიძლება დატოვოს სკოლა. მასწავლებელთა დენადობის შემცირების მიზნით სკოლამ, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებასა და კარგი სამუშაო გარემოს შექმნისათვის უნდა იზრუნოს.

სკოლის წარმატებასა თუ წარუმატებლობას მნიშვნელოვანწილად პედაგოგების მუშაობა განსაზღვრავს; რაც უფრო მოტივირებული იქნება პედაგოგი, მით უფრო წარმატებული იქნება იგი სწავლების პროცესში და ნაკლებად ექნება სურვილი, დატოვოს სკოლა. აშკარაა, რომ სკოლის ხელმძღვანელობისათვის პედაგოგების მოტივაციის ამაღლება საკმაოდ რთული ამოცანაა. თუ სკოლის ხელმძღვანელობა არასათანადო ყურადღებას დაუთმობს პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებას, წარმოუდგენელი იქნება პედაგოგებისათვის დადებითი სამუშაო პირობების შექმნა. ამ ვითარებაში კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ სკოლამ წარმატებას მიაღწიოს, პირიქით, სკოლა შეიძლება კვალიფიციური მასწავლებლების შენარჩუნების სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. კარგი სამუშაო გარემოს შექმნის ძირითადი პირობებია სტრესის გამომწვევი ფაქტორების მინიმუმამდე შემცირება და მოტივაციის სიმცირის მიზეზების აღმოფხვრა. სამუშაო გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს: კონფლიქტურმა გარემომ სკოლაში; შედეგების გაუმჯობესების მიზნით სკოლის ხელმძღვანელობის დაუსაბუთებელმა და ზედმეტად მკაცრმა მოთხოვნებმა; ინიციატივების მიმართ ნეგატიურმა განწყობამ არაეფექტურმა კომუნიკაციამ; წახალისებისა და დაჯილდოების პროგრამების უგულებელყოფამ; საჭირო ტრენინგ-პროგრამების განუხორციელებლობამ.

როგორც ცნობილია, საპენსიო ასაკის მხოლოდ პრაქტიკოსის სტატუსის მქონე პედაგოგებს, პროფესიიდან გასვლის შემთხვევაში, განათლების სამინისტრო გარკვეულ პრივილეგიებს შესთავაზებს. საუბარია 2 წლის ხელფასის ოდენობაზე, რომელსაც პედაგოგი ერთიანად მიიღებს და სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელობის დაზღვევის

პაკეტის შენარჩუნებაზე. როგორც ცნობილია, პენსიონერი პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ჯილდოს ეს შეთავაზება ეხება 2019 წელს. საპენსიო ასაკის პრაქტიკოს პედაგოგებს ორჯერ ეძლევა შესაძლებლობა, დაადასტურონ მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლონ სტატუსი. ორივე გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაშიც კი მათ შეეძლება ისარგებლონ მინიჭებული პრივილეგიით და მიიღონ სახელმწიფო ჯილდო 2019 წლის შემოდგომაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე – დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მიმდინარე განათლების რეფორმის ფარგლებში კიდევ ერთი ინიციატივა დააანონსა, რაც მასწავლებლების ასისტენტების პრაქტიკის დანერგვას გულისხმობს. რა კვალიფიკაცია მოეთხოვება მაძიებელს? მაძიებელს პირველ რიგში, ბაკალავრის კვალიფიკაცია მოეთხოვება: თუკი მაძიებელს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს, ის შემოდის და, 2 წლის განმავლობაში ან უფრო სწრაფად, ადასტურებს სტატუსს გადის მაძიებლობის პროგრამას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მაძიებელს შესაბამისი კვალიფიკაცია არ აქვს, მისი მაძიებლად დარეგისტრირების წინაპირობა საგნის გამოცდის ჩაბარებაა.

გარანტირებული უნდა იყოს, რომ ვინც მოსწავლესთან შედის, მან, სულ მცირე, ის საგანი უნდა იცოდეს, რომელსაც ასწავლის. პროფესიული პედაგოგიური უნარების განვითარებაში კი ადგილზე დაეხმარებიან. მთავარია, განათლების ხარისხი ამაღლდეს, სკოლამ და მასწავლებელმა უზრუნველყონ, რომ თითოეული მოსწავლე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების მატარებელი იყოს.

თუკი გაჩნდება მასწავლებელთა დეფიციტი, სისტემა მზადაა, ის შეავსოს არა ნებისმიერით, არამედ კომპეტენტური ადამიანებით, რომლებიც სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხს აამაღლებენ. მთავარი ამოსავალი პრინციპიც ხომ ეს არის.

§6. მასწავლებლის როლი სწავლების პროცესში

დღეს ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე, კონსერვატიულ და რეფორმატორულ, ავტორიტარულ და დემოკრატიულ, მასწავლებლებზე ცენტრირებულ და მოსწავლეზე ცენტრირებულ პედაგოგიკას. გვერდი რომ ავუქციოთ ბევრ დეტალს, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა ამ შემთხვევაში, ძირითადად, ლაპარაკია სასწავლო პროცესის და მისი მონაწილეების ფუნქციათა განსხვავებულ გაგებაზე.

სწავლის ტრადიციულ გაგებას კარგად გადმოსცემს დავით გურამიშვილის სიტყვები - „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ეს ნიშნავს, რომ სწავლა შრომის ტიპის საქმეა, რომელიც სიამოვნებისთვის კი არა, საჭიროებისათვის უნდა აკეთო. ამ კონცეფციის მიხედვით, სწავლა, ისევე როგორც შრომა, მხოლოდ საბოლოო მიზნით გამართლებულ მძიმე სამუშაოდ ითვლება, რომელიც ნებისყოფის დაძაბვას მოითხოვს. ასეთივე გაგება ჰქონდა კლასიკურ გერმანულ სკოლასაც და მისი ანალოგიით შექმნილ ჯერ მეფის რუსეთის, მერე კი საბჭოთა სკოლასაც. ყველა - ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესის მთავარი მიზანი, ცოდნის მიცემა, ერთის მხრივ, მიიღწევა მასწავლებლის აქტიურობით - გაკვეთილის ახსნით, დავალების მიცემით, შესრულების შეფასებით და ა.შ. მეორეს მხრივ - მოსწავლის მასწავლებლისადმი დამორჩილებით, რაც გულისხმობს ყურადღებით მოსმენას, მისი ნათქვამის დამახსოვრებას, დავალების შესრულებას ისე, როგორც მასწავლებელს სურს და სხვა. როგორც ვხედავთ, მოსწავლე არაფერს არ წყვეტს სასწავლო პროცესში, ის მხოლოდ უფროსების გადანყვეტილებათა შემსრულებელია და არ აქვს უფლება იმოქმედოს თავისი ინტერესით. ამიტომ ჰქვია ამ სისტემას მასწავლებელზე ორიენტირებული და ავტორიტარული.

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა თანამედროვე შრომის ბაზარი შეცვალა და უკვე ამით შეცვალა მოთხოვნები განათლების სისტემის მიმართ. მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სკოლამ მოსწავლეს მიაწოდოს საბაზო ცოდნის მინიმუმი, მაგრამ, ამასთან ერთად, განუვითაროს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი, რაც გარკვეულ პიროვნულ თავისებურებებს, მათ შორის, შემოქმედებით აზროვნებასაც გულისხმობს. ამდენად, სასწავლო პროცესში ამჟამად წინა პლანზე გამოდის ახალგაზრდის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარის განვითარება. ტრადიციული სკოლის ფარგლებში ხშირად მხოლოდ ინფორმაციის მექანიკური დამახსოვრების უნარზე კეთდება აქცენტი.

საუკუნეთა განმავლობაში მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის რეალური ინფორმაციის (ცოდნის) ძირითადი წყარო იყო მასწავლებელი. ამ პირობებში ახალგაზრდებსაც მეტი ინტერესი ჰქონდათ მასწავლებლის სიტყვის მიმართ. დღეს სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის გამო ახალგაზრდას ინფორმაციის უამრავი წყარო აქვს, რომელთან კონკურენციაც მასწავლებელს სულ უფრო უჭირს. ადრე მასწავლებელი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებლის და შემმონმებლის ფუნქციით. ხოლო დღეს, „ინფორმაციული ბუმის“, პროგრამირებული და დისტანცირებული სწავლების, ცოდნის ტესტებით შემონმების ეპოქაში ცოდნის მიღებაც და მისი შემონმებაც შესაძლებელია მასწავლებლის გარეშე. ტრადიციული ფუნქციების შენარჩუნება მასწავლებელს გაუჭირდება, მან სხვა ფუნქცია უნდა მოიპოვოს. ამდენად, ტრადიციული ფუნქციების შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელს ესაჭიროება. ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სწავლების ახალი მეთოდების მიმართ დიდია თვით მასწავლებლების ინტერესი.

სასკოლო განათლების სისტემის განვითარების მთავარი, სტრატეგიული მიმართულება მოსწავლესა და შედეგებზე ორიენტირებული განათლებაა. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომისას მასწავლებელი ითავსებს როლებს, რომელთა ნაწილი, პირობითად, ტრადიციულია, ხოლო ნაწილი – ინოვაციური. ტრადიციულადაა მიჩნეული, მაგალითად, შემდეგი როლები:

. მასწავლებელი არის პრეზენტატორი. მასალის ეფექტური პრეზენტაცია და ახსნა უზრუნველყოფს მის სწორად გაგებას და, შესაბამისად, ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მასალის ეფექტურად ათვისებას;

. მასწავლებელი არის შუამავალი სასწავლო გეგმას, სახელმძღვანელოსა და მოსწავლეს შორის;

. მასწავლებელი არის მისაბაძი მოდელი, ყველაზე კომპეტენტური პირი საკლასო ოთახში, ცოდნის ერთ-ერთი უტყუარი წყარო;

. მასწავლებელი არის სასწავლო პროცესის ორგანიზატორი, იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების დროის რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას;

. მასწავლებელი არის მოსწავლეთათვის მიზნის დამსახველი და მოტივატორი ამ მიზნის მიღწევისას, ის საინტერესოს ხდის საკუთარ პრეზენტაციასა და მოსწავლეთა ვარჯიშს;

. მასწავლებელი არის მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის აღმომჩენი და დამომწმელებელი – სამართლიანი და რეალისტური შეფასება კარგი მოტივია სწავლისთვის, ის მოსწავლეს წინსვლისა და წარმატების განცდას უჩენს.

მასობრივი პედაგოგიური პრაქტიკის თვალსაზრისით (და არა მხოლოდ ცალკეული ნოვატორი მასწავლებლების შემთხვევაში) ინოვაციურად ითვლება, მაგალითად, მასწავლებლის ე.წ. ფასილიტატორული როლები:

. მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობით ატმოსფეროს სასწავლო პროცესში და ამით ხელს უწყობს მოსწავლეებს მათი პოტენციალის რეალიზებაში;

. მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეთა თავისუფალ და დამოუკიდებელ აზროვნებას, რითაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ნაყოფიერების ზრდას;

. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ეყრდნობა მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, რითაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და, ამასთანავე, ამრავალფეროვნებს მათ გამოცდილებას;

. მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლის შინაგანი დისციპლინის ჩამოყალიბებაზე და აღკვეთს მოსწავლეზე ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ზეწოლას. ამით იგი ხელს უწყობს პოზიტიურ ცვლილებებს მოსწავლეებში და განამტკიცებს მიღწეულ შედეგებს.

მასწავლებლის ტრადიციული და ფასილიტატორული როლების შეთავსება უდავოდ პროგრესული და მისაღებია. პრობლემები წამოიჭრება მაშინ, როდესაც ამ როლების პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი დგება.

საკითხი მრავალმხრივ და ღრმა ანალიზს მოითხოვს, ჩვენ კი ამჯერად მხოლოდ იმას დავჯერდებით, რომ წარმოვაჩინოთ ზოგიერთი შეუსაბამობა და წინააღმდეგობა, რომლებსაც ყოველდღიურ პრაქტიკაში ხვდება რეფორმის მხარდამჭერი მასწავლებელი – ის, ვისაც გულწრფელად სურს, მაღალ დონეზე შესრულოს პროფესიული მოვალეობა, სული და გული ჩააქსოვოს საქმეში, განიცადოს შემოქმედითი სიამოვნება და მიიღოს კმაყოფილება მიღწეული შედეგებით. ხშირად ნოვატორი მასწავლებლების ან მათი ტრენერების მიერ შედგენილ გაკვეთილის გეგმაში წარმოჩენილია პედაგოგის ფასილიტატორული მუშაობის ელემენტები: ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ დავალებათა წინასწარ მომზადება, მოსწავლეთა მუშაობაში ჩარევა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, წინასწარ განერილი ზუსტი ინსტრუქციები მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, შეჯიბრების, მსჯელობისა და კამათის წახალისება, გამომწვევი და შემოქმედებითი დავალებები, შეფასების კრიტერიუმების წინასწარ შეთანხმება მოსწავლეებთან. ამასთანავე, გეგმის მიხედვით, შექმნილია წინაპირობები მოსწავლეთა მრავალმხრივი თანამშრომლობისთვის: მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან ერთმანეთს პრობლემების მოგვარებაში, მონაწილეობენ საერთო დავალების შესრულებაში, ინაწილებენ საქმეს. თუმცა მასწავლებლის მიერ წინაპირობების შექმნა იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ეს გეგმაშია წარმოდგენილი. ამ გეგმის რეალიზაციას მასწავლებლის ფასილიტატორული უნარი და საკმაო ძალისხმევა სჭირდება. სხვა საკითხია, რამდენად არის შეთანხმებული ჩვენი საზოგადოება ისეთი ძირითადი ღირებულებების თაობაზე, როგორებიცაა მოყვასზე ზრუნვა, წესრიგი, სხვისი

აზრის პატივისცემა, თვითორგანიზება, პასუხისმგებლობა, მიუკერძოებლობა და რამდენად იზიარებს ყოფა-ცხოვრებაში, მათ შორის – სასკოლო ცხოვრებაშიც, ამ ღირებულებებს. როგორ უნდა მოაქციოს მხოლოდ მასწავლებელმა ეს პროცესი სასურველ კალაპოტში? რამდენი გაკვეთილი შეიძლება მოამზადოს და ჩაატაროს მან დღეში და კვირაში ისე, რომ გაუძლოს ფიზიკურ და ინტელექტუალურ დატვირთვას და გამოავლინოს შემოქმედებითობა ნებისმიერ საგაკვეთილო ვითარებაში?

შევაჯამოთ არგუმენტები და კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ის ფაქტორები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მასწავლებლის ინოვაციური როლების ეფექტურ განხორციელებას: მოტივაციის ნაკლებობა; ხისტი საკლასო-საგაკვეთილო სისტემა; პედაგოგიური ტექნოლოგიების დაუმუშავებლობა; არაადეკვატური საუნივერსიტეტო განათლება; არასაკმარისი პროფესიული განვითარება; არაადეკვატური სასწავლო რესურსები; ინტენსიური საათობრივი დატვირთვა; განსხვავებული შესაძლებლობებისა და მიღწევების მქონე მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტებული კლასები; მეტისმეტად მრავალრიცხოვანი კლასები დიდ ქალაქებში; გადატვირთული სასწავლო პროგრამები; ღირებულებითი კრიზისი საზოგადოებაში და მისი წევრების სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (განსაკუთრებით – სოციალური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების) განუვითარებლობა.

ეს გრძელი და დამაფიქრებელი ჩამონათვალი, ბუნებრივია, არ არის ამომწურავი. მაგალითად, მასწავლებელი არ იქნება დაინტერესებული ინოვაციური მიდგომების დამკვიდრებით და თუნდაც ძალიან მოინდომოს, მოსწავლეები მაინც არ აჰყვებიან, თუ საგამოცდო ტესტები ფაქტობრივ ცოდნაზე იქნება ორიენტირებული და მოსწავლეებისგან სასწავლო მასალის დაზუთხვას მოითხოვს.

ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი საკვებით საკმარისია იმის გასააზრებლად, რომ ინოვაციური მიდგომების მასობრივ დანერგვაში გარღვევა მხოლოდ სისტემური ცვლილებების პირობებში შეიძლება მოხდეს. მხოლოდ მასწავლებლების ძალისხმევა შედეგს ვერ გამოიღებს. სწორედ ამიტომ საშური საქმეა ტრადიციული და ინოვაციური საქმიანობის თეორიისა და პრაქტიკის უფრო დეტალური შესწავლა, რათა

განისაზღვროს ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმა დღესვეა შესაძლებელი და რომლებიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა შრომის ეფექტიანობის ზრდას.

მიმდინარე საუკუნეში საგანმანათლებლო სისტემებმა ძირეული ცვლილებები განიცადა. სწავლისა და სწავლების სტანდარტები და მოლოდინები მნიშვნელოვნად შეიცვალა და, რაც მთავარია, შემსწავლელისა და მასწავლებლის როლების ერთგვარი გადანაცვლება მოხდა. თანამედროვე შემსწავლელი პასიურ როლზე უარს ამბობს და უწყვეტი სწავლის პროცესში აქტიური ლიდერის როლს თამაშობს. გარდა ამისა, XXI საუკუნის რეალობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მასწავლებლებს ან შემსწავლელებს შორის თანამშრომლობითი კავშირების დამყარებისა და ორივე მხარის მიერ საჭირო ინფორმაციის მოპოვების მზარდ შესაძლებლობებს ქმნის. ამ მასშტაბური ცვლილებების შესაბამისად, XXI საუკუნის განმანათლებლები უფრო მეტად არიან მოსწავლეზე ორიენტირებულნი, არჩევენ ჰოლისტიკურ მიდგომას და მოსწავლეებს საგნობრივ მასალასთან ერთად სწავლის სტრატეგიებსა და ტექნიკებსაც სთავაზობენ. თანამედროვე განმანათლებელი მუდმივად ათვისებს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მოსწავლეებს გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად დასჭირდებათ. და მაინც, რა უნარ-ჩვევებს მოითხოვს XXI საუკუნის გლობალური ეკონომიკა და, შესაბამისად, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე განმანათლებელი?

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ განსხვავებებს ტრადიციულ და თანამედროვე სასწავლო გარემოს შორის; ასევე, განვსაზღვრავთ მასწავლებლების კომპეტენციებს თითოეული მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო პროცესი /გარემო მე-20 საუკუნეში	სასწავლო პროცესი /გარემო XXI საუკუნეში	მასწავლებლის კომპეტენცია
დროზე ორიენტირებული	შედეგზე ორიენტირებული	<ul style="list-style-type: none"> • დიფერენცირებული სწავლება

		<ul style="list-style-type: none"> განმავითარებელი შეფასების ფორმები ეფექტური მულტიმედია რესურსების იდენტიფიცირება
მთავარი მიზანი: ფაქტების დამახსოვრება	მთავარი მიზანი: ფაქტების დავიწყების შემდეგ რის გაკეთებას შეძლებენ მოსწავლეები	<ul style="list-style-type: none"> შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების სწავლება პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების სწავლება
ბლუმის ტაქსონომიის ქვედა დონე – ცოდნა, გაგება, გამოყენება	ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონე – სინთეზი, ანალიზი და შეფასება (თუმცა მოიცავს ქვედა დონეზე მუშაობასაც)	<ul style="list-style-type: none"> საგნობრივი კომპეტენცია კვლევისა და ანალიზის უნარ-ჩვევები
სახელმძღვანელოზე ორიენტირებული	კვლევაზე ორიენტირებული	<ul style="list-style-type: none"> კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენების ცოდნა პროექტებით სწავლების მეთოდოლოგია
პასიური სწავლა	აქტიური სწავლა	<ul style="list-style-type: none"> შემოქმედებითი და ინოვაციური უნარ-ჩვევები მულტიმედია რესურსების მოპოვების და გამოყენების უნარ-ჩვევები

<p>მოსწავლე მუშაობს იზოლირებულად</p>	<p>მოსწავლეები თანამშრომლობენ თანაკლასელებთან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან</p>	<ul style="list-style-type: none"> • თანატოლთა ურთიერთობების მართვა • მენტორობის, კონსულტირების და ლიდერობის უნარ-ჩვევები
<p>მასწავლებელზე ორიენტირებული: მთელი ყურადღება მასწავლებელზეა, იგია ინფორმაციის წყარო.</p>	<p>მოსწავლეზე ორიენტირებული: მასწავლებელს ფასილიტატორის/ გზამკვლევის როლი აკისრია.</p>	<ul style="list-style-type: none"> • დროის/სივრცის მართვა და განაწილება • მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა
<p>მოსწავლის თავისუფლება შეზღუდულია</p>	<p>მოსწავლეს თავისუფლება აქვს დიდი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ცოდნა და გამოყენება • საავტორო უფლებების სწავლება
<p>“დისციპლინის პრობლემები” – მასწავლებლები არ ენდობიან მოსწავლეებს და პირიქით. მოსწავლეთა მოტივაცია დაბალია.</p>	<p>დისციპლინის პრობლემები არ არსებობს – მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ორმხრივი პატივისცემაა; მოსწავლეთა მოტივაცია მაღალია.</p>	<ul style="list-style-type: none"> • კლასის მართვის პრევენციული მეთოდები • წახალისებაზე დაფუძნებული მოტივირების მეთოდები
<p>დანაწევრებული სასწავლო გეგმა</p>	<p>ინტეგრირებული და ინტერდისციპლინური</p>	<ul style="list-style-type: none"> • კროსდისციპლინური სტანდარტების შემუშავება

	სასწავლო გეგმა	<ul style="list-style-type: none"> სასწავლო პროფესიული გაერთიანებების ფასილიტაცია
საშუალო ნიშნის გამოყვანა	ნიშნები გამომდინარეობს ათვისებული ცოდნიდან.	<ul style="list-style-type: none"> შემაჯამებელი შეფასების მეთოდები შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება
დაბალი მოლოდინები	მაღალი მოლოდინები – ჩვენი მოლოდინია, რომ ყველა მოსწავლე მიაღწევს წარმატებას.	<ul style="list-style-type: none"> მოლოდინების ზუსტად ჩამოყალიბება და გაზიარება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება
მასწავლებელი არის მოსამართლე. სხვა ვერაფერს ხედავს მოსწავლის ნამუშევარს.	მიღებულია თვითშეფასების, თანატოლთა და სხვა ტიპის შეფასებების პრაქტიკა.	<ul style="list-style-type: none"> შეფასების რუბრიკების შექმნა ონლაინ და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება შეფასების პროცესში
სასწავლო გეგმა არ შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს.	სასწავლო გეგმა მოსწავლეების ინტერესებს, გამოცდილებას, ნიჭს და რეალურ გარემო პირობებს ეფუძნება.	<ul style="list-style-type: none"> საჭიროებების მოკვლევის მეთოდიკა წარმომადგელობითი ნიმუშის გამოყვანა სასწავლო გეგმის შედგენა
ბეჭდვითი მასალები სწავლისა და შეფასების ძირითადი წყაროა.	სწავლისა და შეფასების პროცესში გამოიყენება წარმოდგენები, პროექტები, მედია საშუალებები	<ul style="list-style-type: none"> შემოქმედებითობის უნარ-ჩვევები ლონისძიებების/პროექტების დაგეგმვა და ორგანიზება

<p>მოსწავლეთა მრავალფეროვნება უგულებელყოფილია</p>	<p>სასწავლო პროგრამა და სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას.</p>	<ul style="list-style-type: none"> • მრავალფეროვნების პოზიტიურად გამოყენება • კონფლიქტების მართვა და გადაჭრა
<p>ნიგნიერება განისაზღვრება წერა-კითხვისა და მათემატიკის ცოდნით.</p>	<p>ისწავლება მრავალმხრივი ნიგნიერება, რაც აუცილებელია XXI საუკუნის გლობალიზებულ ერაში ცხოვრებისა და მუშაობისთვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური და მედია ნიგნიერება • ვიზუალური ნიგნიერება • ბეჭდვითი ნიგნიერება
<p>სტანდარტიზებული ტესტების მოთხოვნა</p>	<p>სტანდარტიზებულ ტესტებთან ერთად გამოიყენება შეფასების სხვა ფორმები.</p>	<ul style="list-style-type: none"> • განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების ფორმების შედგენის, ადაპტირების და გამოყენების ცოდნა

თავი 2 . XXI საუკუნის მასწავლებელი

§1. თანამედროვე სტრატეგიები სწავლებაში

რას მოიცავს თანამედროვე სასწავლო პროცესი? რა ცვლილებების შეტანა ევალება სასწავლო გარემოში XXI საუკუნის მასწავლებელს და რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს ის ამ ცვლილებების განსახორციელებლად? უახლესმა ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე: კომუნიკაციაზე, თანამშრომლობაზე, სწავლაზე, სწავლებაზე. ყოველივე ამან ახალი ტერმინოლოგიის ათვისების და გამოყენების საჭიროება გამოიწვია. XXI საუკუნის უნარ-ჩვევებია: სწავლისა და ინოვაციის უნარ-ჩვევები; შემოქმედებითობა და

გამომგონებლობა; კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა; კომუნიკაცია და თანამშრომლობითი სწავლა; საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები; ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი; მედიაწიგნიერება; საინფორმაციო წიგნიერება; ტექნოლოგიური წიგნიერება; სასიცოცხლო და პროფესიული უნარ-ჩვევები; მოქნილობა და ადაპტაცია; ინიციატივა და დამოუკიდებლად მუშაობა; სოციალური და კულტურული უნარ-ჩვევები; ცნობისმოყვარეობა და ფანტაზიის უნარი; პროდუქტულობა და ანგარიშვალდებულება; ლიდერობა და პასუხისმგებლობა.

ცხადია, მოსწავლეთათვის ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება XXI საუკუნის სწავლების პარადიგმაში მნიშვნელოვან გარდატეხას მოითხოვს. ამასთანვე, იცვლება მოლოდინები XXI საუკუნის მასწავლებლების მიმართ. თანამედროვე განმანათლებლის მიმართ ძირითადად ორი ტიპის მოთხოვნები ჩნდება, რომლებიც უკავშირდება მის ზოგად თვისებებსა და პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ორივე სახის მოთხოვნებს. XXI საუკუნის განმანათლებელთათვის საჭირო ზოგად თვისებებს შორის უპირატესად ასახელებენ ადაპტირების, კომუნიკაციისა და წარმოსახვის უნარებს, სწავლებისადმი ინტერესს, აგრეთვე ლიდერობის, მოდელირების, თანამშრომლობის ჩვევებს და რისკისადმი მზაობას. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების თვალსაზრისით კი თანამედროვე მასწავლებლებს მოეთხოვებათ XXI საუკუნის სწავლების მოდელების ცოდნა, ისევე როგორც სასწავლო გარემოსა და პროცესის (სტანდარტებისა და შეფასების, სასწავლო გეგმის და ა.შ.) განახლებული კრიტერიუმების თვალსაზრისით და პრაქტიკაში გამოყენება.

ზოგად თვისებებს შორის ადაპტირების უნარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ახალი სწავლების მეთოდების, სასწავლო გარემოს და მასალების, ტექნიკური უნარ-ჩვევებისა და ტექნოლოგიების გამოყენება არსებულ კონტექსტზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. ასევე, მასწავლებელს ყოველთვის მზად უნდა ჰქონდეს გაკვეთილის სათადარიგო გეგმა. წარმოსახვის უნარის მეშვეობით მასწავლებელი განსაზღვრავს XXI საუკუნის სწავლების მოდელების, ახალი მეთოდისა თუ ტექნიკის, მასალის თუ ტექნოლოგიების გამოყენების პოტენციალს მიმდინარე

მიზნების მისაღწევად და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას რომელიმე მათგანის არჩევის შესახებ.

თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები გულისხმობს თანამშრომლობითი /კოლაბორაციული ინსტრუმენტების ცოდნასა და გამოყენებას, ისევე, როგორც მოსწავლეების აზრის გაზიარებას, მათი ინტერესებისა თუ საჭიროებების მიხედვით პროცესების ადაპტირებას, მოსწავლეთა შეფასებების/კრიტიკის მიღებასა და გათვალისწინებას. რისკისადმი მზაობა გულისხმობს მოსწავლეთა შესაძლებლობების რწმენას და მათთვის მეტი თავისუფლების მიცემას, ისევე, როგორც პროფესიული განვითარების გზაზე რისკის განევას და ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობისას თავის გამოცდას. ვინაიდან XXI საუკუნეში მოსწავლეებისგან უწყვეტი სწავლისადმი მზაობას ველით, ბუნებრივია, მასწავლებლებს სწავლისადმი მუდმივი ინტერესის ჩვენება და სიახლეებისკენ სწრაფვა მოეთხოვებათ. კომუნიკაციის კომპეტენცია არა მხოლოდ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, არამედ მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის, კონტროლის და მართვის უნარებსაც მოიცავს. ლიდერის უნარ-ჩვევების გარეშე წარმოდგენელია რაიმე სიახლის წარმატებით დანერგვა, მოულოდნელი სიტუაციების მართვა და განსაკუთრებით XXI საუკუნის ახალგაზრდა თაობისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალისტური მუშაობის სტილში თანამშრომლობითი ელემენტების შეტანა და საბოლოოდ – თანამშრომლობითი სწავლის დამკვიდრება. და ბოლოს, თანამედროვე მასწავლებლისგან ველით ტოლერანტულობასა და თვითკრიტიკულობას. აკადემიურ დონეზე, მასწავლებლისთვის სწავლების შემდეგი მოდელების ცოდნა და გამოყენებაა რეკომენდებული:

- ავთენტური სწავლება – რეალური პრობლემებისა და შეკითხვების განხილვა სწავლების პროცესში;
- მოდელირების მეთოდი – ფიზიკური და ვირტუალური მოდელების შექმნა საკითხის ზუსტი აღქმისა და გაგებისთვის;
- შინაგანი მოტივირების მეთოდი – სწავლისადმი პოზიტიური ემოციური კავშირების ინდენტიფიცირება და გამოყენება;

· მულტიმოდალური სწავლება – განსხვავებული სწავლის სტილის შესაბამისი სწავლების მეთოდების გამოყენება;

· სოციალური სწავლება – სოციალური ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ძალის გამოყენება სასწავლო შედეგების გაუმჯობესების მიზნით;

· საერთაშორისო სწავლება – მსოფლიოს გამოცდილების გაზიარება სწავლისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

აშკარაა, რომ 21-ე საუკუნე სხვა ფენომენია და სწავლა სულ სხვა, ისეთი პრინციპებით ხდება, რომელიც აქამდე არ გამოუყენებიათ. და მაინც რას მოითხოვს 21-ე საუკუნე მასწავლებლისგან?

1. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და ინდივიდუალურად მიცემული ინსტრუქციები – რადგანაც მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული პიროვნული თვისებები, მიზნები, საჭიროებები ამიტომ, მათ უნდა მიეცეთ ინდივიდუალური ინსტრუქციები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

2. მოსწავლეები, როგორც მწარმოებლები – დღეს მოსწავლეებს ხელი მიუწვდებათ ციფრულ ტექნოლოგიებზე, რომელთა გამოყენებითაც მათ შეუძლიათ ოჯახის წევრებს, მეგობრებს დაურეკონ, შეტყობინება გაუგზავნონ. ამავე დროს, მათ შეუძლიათ ამ ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ბლოგები, ვიდეოები, წიგნები და შემდეგ ეს ყველაფერი გაუზიარონ სხვებს.

3. ახალი ტექნოლოგიების ათვისება – იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს შესთავაზოს არჩევანი მასწავლებელმა უნდა იცოდეს ტექნოლოგიები და უნდა ეცნობოდეს მათ განვითარებას მუდმივად. გთავაზობთ ვებ-გვერდს, რომლის გამოყენებითაც შეძლებთ ახალი ტექნოლოგიების ათვისებას და მათ გამოყენებას.

4. იყავი გლობალური – ჩვენს დროში სირცხვილია, მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნის გამოყენებით ვასწავლოთ მოსწავლეებს სხვადასხვა ქვეყნების, კულტურების და ადამიანების შესახებ, რომლებიც სამყაროს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. ასწავლეთ მოსწავლეებს ტექნოლოგიების გამოყენებით სამყაროს ნებისმიერ კუთხეში მოხვედრის საშუალება. ეს მათ ძალიან მოეწონებათ.

5.იყავი მოქნილი და გამოიყენე სმარტფონი – უთხარით თქვენს მოსწავლეებს, რომ არ იცით გუგლის გამოყენება და დაელოდეთ მათ რეაქციას. თუ თქვენ მოსწავლეებს მისცემთ საშუალებას, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მონაცემები, ეს მათ დაეხმარება ამ მონაცემების დანიშნულების უკეთ აღქმაში.

6.ბლოგინგი – გამოიყენეთ ბლოგები წერისთვის, ეს გააუმჯობესებს მათ წერით უნარებს.

7.იყავი ციფრული – ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება აგარიდებთ ბევრ ფურცლებს. მიეცით საშუალება მოსწავლეებს ტექნოლოგიები აითვისონ და გამოიყენონ.

8.თანამშრომლობა – ტექნოლოგიების გამოყენებით თანამშრომლობა ხდება მაშინ, როც ამასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად ქმნიან პრეზენტაციას, ვიდეოს, ციფრული რესურსს და პროექტებს. ასევე დოკუმენტები გაცვლა-გამოცვლა ელექტრონული ფოსტით.

9.გამოიყენე ტვიტერის ჩატი – ტვიტერის ჩატში მონაწილეობის მიღება, ყველაზე მოსახერხებელი და იაფი საშუალებაა, რომ კომუნიკაცია განვაფიქროთ. ასევე სასარგებლოა პროფესიული განვითარებისთვის.

10.დაკავშირება – დღეს ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას, რომ მოვძებნოთ ყველა, ყველგან, ყოველთვის. დაუკავშირდეთ მათ სოციალური მედიის გამოყენებით: Follow, Join.

11.პროექტზე დაფუძნებული სწავლება – დღეს მოსწავლეებს არ სჭირდებათ მხოლოდ სახელმძღვანელოები, მათ შეუძლიათ მოიძიონ, შექმნან და მისცენ პროექტს საბოლოო სახე. მასწავლებელი მათ სჭირდებათ მხოლოდ იმისათვის, რომ მითითება მისცეს და გიდის ფუნქცია შეასრულოს.

12.შექმენი შენი საკუთარი ციფრული ფეხის ნაკვალევი – დღეს მასწავლებელი არის მოდელი სოციალური მედიის გამოყენების პროცესში, ის ტვირთავს ფოტოებს, აზიარებს ინფორმაციას, საკუთარ აზრებს. ამ ყველაფრის სწორად გამოყენება საკლასო ოთახში მოსწავლეებს დაეხმარება ტექნოლოგიების სწორად გამოყენებაში.

13.კოდირება, გაშიფვრა – თუ მე-20 საუკუნის მასწავლებლისთვის მთავარი იყო კალამი და ფანქარი, დღეს 21-ე საუკუნის მასწავლებლისთვის „კალამი და ფანქარი“ არის კომპიუტერი.

14.სიახლეთა დანერგვა – საკლასო ოთახში სიახლეების დანერგვა ძალიან კარგი საშუალებაა მოსწავლეების ჩართულობის გაზრდის მიზნით. დანერგეთ აქტივობები საკლასო ოთახში.

15.გაგრძელებული სწავლა – დღის განმავლობაში თუნდაც 20 წუთი დაუთმე სიახლეების გაცნობას, ეს უკვე დიდი საქმეა.

როგორც იმაზე საუბარი, თუ რამდენად შედეგიანი იქნება სწავლების დღევანდელი მეთოდები და რამდენად იმუშავებს ახალი ტენდენციები. ადრე განათლება იყო მხოლოდ წერა-კითხვა და არითმეტიკა. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად თანამედროვე ადამიანი ახალი გამოწვევების წინაშე დგება, საკმარისი არაა მხოლოდ სკოლაში მიღებული ფორმალური განათლება. დღეს ჩვენ გვჭირდება ახალგაზრდები გლობალური ამოწვევებითა და კონფლიქტების გადაჭრის უნარებით. ექსპერტები გვთავაზობენ 21-ე საუკუნის სწავლების სტრატეგიებს მასწავლებლებისთვის:

ლიდერობა. მიეცით კლასში ბავშვებს ჯგუფური დავალება, დაასახელოთ თითოეული ჯგუფის ლიდერი, რომელსაც მთელი ჰასუხისმგებლობა დაეკისრება. ასე მოზარდი ისწავლის, თუ როგორ მართოს სხვები და მიაღწიოს წარმატებას მათთან ერთად. ამასთან, ბავშვები სწავლობენ ერთად მუშაობას, ერთმანეთის აზრის პატივისცემას და გადაწყვეტილების ურთიერთმეთანხმებულად მიღებას.

პედაგოგმა ყოველი ახალი ჯგუფური სამუშაოსთვის ახალი გუნდები და ახალი ლიდერები უნდა დაასახელოს, რათა ბავშვებს შორის ადგილი არ ჰქონდეს შუღლსა და პირად დაპირისპირებას.

კომუნიკაცია. ბევრი მიიჩნევს, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანური ურთიერთობები შესუსტდა და იგი ვირტუალური კომუნიკაციის საშუალებებით ჩანაცვლდა. თუმცა წარმატების მიღწევა ინფორმაციის მიღებისა და სხვების მოსმენის გარეშე შეუძლებელია.

ამიტომ პედაგოგის მოვალეობაა მოსწავლეებს ასწავლოს თუ როგორ შევიდნენ კომუნიკაციაში თითქმის უცნობ ადამიანებთან და როგორ გამონახონ მათთან საერთო ენა. ამის ყველაზე მარტივი გზა ჯგუფური სამუშაოებია. ეს შეიძლება არამხოლოდ 1 კლასის მოსწავლეებს შორის, არამედ პარალელურ კლასებს შორისაც მოეწყოს.

პრობლემის გადაჭრა. მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეები ხშირად აწყდებიან დაბრკოლებებს და პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს ეძებენ, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არაა. სასურველია კლასში ცხოვრებისეულ სირთულეებზე საუბარი, რათა მოზარდმა მოკლე დროში პრობლემის იდენტიფიცირება და გამოსავლის პოვნა შეძლოს. ეს უნარი მას ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს

გლობალური და კულტურული ცნობიერება. ჩვენს დროში სტუდენტი კარგად უნდა იცნობდეს არამხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა ერების კულტურასაც, რათა სხვა აღმსარებლობისა თუ ეთნოსის წარმომადგენლის გვერდით მოხვედრის შემთხვევაში მისმა უკოლინობამ უხერხულობა არ გამოიწვიოს. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს პერიოდულად დაევალებათ ინფორმაციების შეგროვება სხვადასხვა კულტურების შესახებ.

ინოვაცია. შემოქმედებითი აზროვნების განვითარება ცხოვრების შემდეგ ეტაპზე წარმატების მიღწევაში მოზარდს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს.

მაშასადამე 21-ე საუკუნის მასწავლებელი

- უნდა იყოს ადაპტორი. მას უნდა შეეძლოს სასწავლო გეგმისა და მისი მოთხოვნების ადაპტირება ციფრულ რეჟიმში სწავლებისათვის. მას უნდა შეეძლოს ბიზნესისათვის შექმნილი ინსტრუმენტებისა და მონაცემების ადაპტირება საგანმანათლებლო ამოცანების მხარდასაჭერად. ჯერ ძალიან მცირეა პროგრამები, რომლებიც სპეციალურად განათლების მიზნებისათვისაა შექმნილი. მას ასევე უნდა შეეძლოს სწავლების საკუთარი სტილის ადაპტირება ისე, რომ ის მოიცავდეს სწავლის სხვადასხვა მეთოდებს.

- უნდა იყოს ვიზიონერი. შემოქმედებითი ფანტაზია არის გადამწყვეტი თვისება თანამედროვე მასწავლებლისათვის. მას უნდა შეეძლოს სწავლის პროცესის

დაკავშირება გარე სამყაროსთან. მას უნდა შეეძლოს კავშირების დამყარება სხვა სფეროებთან და ამით სწავლის გაძლიერება.

- უნდა შეეძლოს თანამშრომლობის და კომუნიკაციის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება, რათა ამით მიმზიდველი გახადოს სწავლა. მისი როლი აქ არის როგორც მოდერატორი, ფასილიტატორი, რეფერი: საუბრების წარმართვა, დისკუსიის ფოკუსირება და საკუთარი მაგალითის ჩვენება. მასწავლებელმა უნდა იცოდეს როგორ მოახდინოს საუბრის სტრუქტურირება და წარმართვა, ელექტრონული მედია, წყნარ და მორცხვ მოსწავლეებსაც აძლევს საშუალებას მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში, დებატებში.

- უნდა შეეძლოს რისკზე წასვლა და, თუ საჭიროა, მოსწავლეების უპირატესობის აღიარება ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნაში. მასწავლებელმა საშუალება უნდა მისცეს მოსწავლეებს, რათა მათ ერთმანეთს ასწავლონ.

- უნდა მისცეს მოსწავლეებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მაგალითი. მასწავლებელი მუდმივად უნდა აახლებდეს სასწავლო მასალას, სწავლების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.

- უნდა ფლობდეს ინსტრუმენტებს, რომლებიც მას აძლევენ კომუნიკაციის და თანამშრომლობის შესაძლებლობას. მას ასევე უნდა შეეძლოს კომუნიკაციის ფასილიტაცია, სტიმულირება და კონტროლი.

მოსწავლეებსა და მასწავლებელს საკმაოდ დიდი დროის მანძილზე უწევთ ურთიერთობა. ამიტომ მასწავლებელი უნდა იყოს ერთგვარი მოდელი იმისა, რასაც მოითხოვს მოსწავლეებისაგან.

§2. მასწავლებლის პროფესიული ეთიკა, ურთიერთობა მოსწავლეს, მშობელსა და კოლეგებს შორის.

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სასურველია იყოს ჰარმონიული, მაგრამ ხშირად ხდება, რომ უთანხმოება ხდება. ამის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. სკოლა ცხოვრების ნაწილია და სარკესავით ირეკლავს ყოველივე იმას, რაც ქვეყანაში, ზოგადად, საზოგადოებრივ ყოფაში ხდება. სხვადასხვა ტიპის ბულინგის მსხვერპლად თანაბრად შეიძლება იქცეს მოსწავლესა და მასწავლებელიც. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა არცერთი მხარე არ იქცეს არც მჩაგვრელად და არც დაჩაგრულად.

მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ძალიან ფაქიზი და მრავალი მნიშვნელოვანი ნიუანსებისაგან შედგება. სხვადასხვა რეგულაცია, ეთიკის კოდექსი, ფსიქოლოგთა რჩევები, ერთი სიტყვით, დაწერილი და დაუნერეღი კანონები არსებობს, რომ სასკოლო უთანხმოებები აღმოიფხვრას, თუმცა ყოველ ჯერზე მასწავლებელი თავად აკეთებს არჩევანს რითაც იგროვებს გამოცდილებას.

უამრავი კვლევა არსებობს იმაზე, თუ რატომ არ უნდა მოსწავლეთა უმეტესობას სკოლაში წასვლა, ან რატომ ახარებს გაკვეთილის რაიმე მიზეზით გაცდენა. ხანდახან ამის მიზეზი მოსწავლე-მასწავლებელს შორის უთანხმოებაცაა. როგორც ცნობილია, არსებობენ პედაგოგები, რომლებიც სკოლაში თავს კომფორტულად გრძნობენ და არიან ისეთნი, რომლებთან ყოფნა კომფორტულია. ასე რომ, რადგან ასეთი რთული და საპასუხისმგებლო პროფესია აირჩია, თავიდანვე უნდა გააცნობიეროს, რომ მის გარშემო კი არ უნდა იტრიალოს მოსწავლემ, არამედ პირიქით, ცენტრად მოსწავლე და მისი ინტერესები იქცეოს. ხოლო ინტერესთა სწორად ჩამოყალიბებას თვითონვე შეუწყოს ხელი და მერე აღარ იქნება ძნელი ასატანი „პერიფერიაზე“ ყოფნა. სასურველია, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგისთვის სკოლა არ უნდა იყოს ერთგვარი ტრამპლინი ან მოსაცდელი სხვა, მისი აზრით, მისთვის შესაფერის თუ უკეთეს საქმეზე გადასასვლელად. თუ მასწავლებელს შინაგანად აწუხებს თავისი ეს „როლი“, მაშინ თავს ვერაფერს მოუხერხებს და რაიმე ტიპის აგრესიით გაამჟღავნებს თავს, რაც მასა და მოსწავლეს შორის უთანხმოების მიზეზად იქცევა. მასწავლებლისთვის მოსწავლე ერთგვარი „სამუშაო მასალაა“. ის საკლასო ოთახში ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე

ძერწავს საკუთარ თავს, მოსწავლეებსა და ურთიერთობებსაც, ამიტომ შემოქმედებითობის, ურთიერთპატივისცემის, აღიარების, დაფასების გარემოს შექმნაზე უნდა იზრუნოს, რათა მოსწავლეებს უხაროდეთ მასთან შეხვედრა. ბავშვებმა უნდა იგრძნონ, რომ მასწავლებელს ესმის მათი. მიუხედავად იმისა, რას გრძნობს პედაგოგი რომელიმე მოსწავლის მიმართ, მისი ქცევისა თუ სწავლის მიუხედავად, მაინც კეთილგანწყობა უნდა შეინარჩუნოს. მოსწავლეებს შორის ნებისმიერი უთანხმოების დროს მასწავლებელმა უნდა შეიკავოს თავი. არაფერი მიიჩნიოს უმნიშვნელოდ, ერთი შეხედვით ზედაპირულ დაპირისპირებას სიღრმემდე ჩასდიოს. ეს, რა თქმა უნდა, დიდ ძალას, ენერგიას, დროსა და გულწრფელობას მოითხოვს, ისევე, როგორც ცხოვრებაში.

გაკვეთილიც ერთგვარი „სცენა“, რომელსაც მოსწავლეთა სახით სხვადასხვა ტიპის მაყურებელი ჰყავს. არც სპექტაკლი იქნება ყოველთვის ერთი და იმავე ხარისხისა. მაყურებლის უმრავლესობა აქაც სანახაობას არის დახარბებული, ამიტომ რეჟისორმა, მასწავლებელმა ხშირად აღიაროს თავისთვის, რომ ვერც როლები გაანაწილა შესაბამისად და ვერც გაკვეთილის სტრუქტურა დაგეგმა. ასეთ დროს დამნაშავეს ძებნა მოსწავლეებში კი არ დაიწყოს, არამედ სტრატეგიები შეცვალოს. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სასურველი ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის, პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა მოაგვაროს მოსწავლეებთან ურთიერთობა. მოსწავლეებს მასწავლებელზე აზრი უყალიბდებათ 5 წუთში. ამგვარად, მასწავლებელი მომზადებული უნდა იყოს კლასთან შესახვედრად. უნდა საუბრობდეს დამატურებლად, მშვიდად და ზომიერად. ეს მოსწავლეებს შთააგონებს მასწავლებლის მიმართ ნდობასა და პატივისცემას. მასწავლებელი უნდა იყოს მეგობრული კეთილგანწყობილი დამოკიდებულების. ეს აყალიბებს მასწავლებლის იმიჯს. მას უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლეებთან ურთიერთობაზე თავად არის პასუხისმგებელი. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა მიიღოს და შეეგუოს ისეთს, როგორებიც არიან. მას არა აქვს უფლება, არ უყვარდეს ყველა, თუნდაც ყველაზე სუსტი ან ცელქი. მას უნდა ახსოვდეს, რომ ესენი არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრების ადაპტაციას გადიან. მასწავლებელი ვალდებულია, ყველას მიმართ იყოს ყურადღებიანი, განსაკუთრებით იმათ მიმართ,

ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. ასევე მასწავლებელმა უნდა აღიაროს მოსწავლეების წარმატება, მთავარია, ყველა მოსწავლეში იპოვოს ის დადებითი, რისი შექების ღირსიც იქნება.

მასწავლებელი გაკვეთილზე ყოველგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებას თუ ემოციას ვერ აღმოუხვრის, მაგრამ უნდა ეცადოს, რომ თვითონვე არ იქცეს ამგვარი განწყობილების ერთგვარ „ვირუსულ“ გადამტან-გამავრცელებლად.

სკოლის ცხოვრებაში **მშობლების ჩართულობას** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. როგორც არ უნდა იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მშობლის მონაწილეობა შვილის განათლების პროცესში მოსწავლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იღებენ უკეთეს ნიშნებს, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და უფრო ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება საგანმანათლებლო დანერგულებაზეც. სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ამდენად, უკეთესი შედეგების მისაღწევად სკოლა და მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ტერმინი „მშობელი“ არ ეხება მხოლოდ დედას ან მამას. მშობელი შეგვიძლია ვუწოდოთ ყველა იმ პირს, ვინც ჩართულია ბავშვის აღზრდაში. როგორც წესი, დედ-მამა ზრუნავს ბავშვის აღზრდა-განათლებაზე, მაგრამ მათ გარდა, ბავშვის აღზრდაზე ხშირად პასუხისმგებლობას იღებენ ბებიები, ბაბუები, დეიდები, მამიდები, ბიძები, დედინაცვალი, მამინაცვალი, მეურვე, ძიძა და სხვ. ზემოთ ხსენებული ტერმინი „მშობელი“ გულისხმობს ყველა იმ ზრდასრულ პირს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდასა და კეთილდღეობაზე.

მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელს ეხმარება, გახდეს უფრო თავდაჯერებული. მასწავლებლებს უჩნდებათ მეტი პატივისცემა საკუთარი პროფესიის მიმართ; ისინი უფრო კმაყოფილი არიან საკუთარი საქმიანობით და მისი შედეგებით. მშობელთა ჩართულობა ზრდის კომუნიკაციის ხარისხს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, რაც ეხმარება პედაგოგს, სისტემატურად იღებდეს ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის შესახებ. მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგება კი მასწავლებელს სასურველ შედეგს მისცემს. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებდნენ. უმეტეს სკოლებში ინფორმაციის გასაცემად ეფექტური საშუალებებია შემუშავებული, მაგალითად, საინფორმაციო ბიულეტენები, ვებ-გვერდები და სკოლის საინფორმაციო დაფები, სადაც შესაბამისი მასალები/გზავნილები განთავსდება. ხშირად სკოლებში შემუშავებულია ანალოგიური მექანიზმები მშობლების აქტიური უკუკავშირის უზრუნველსაყოფადაც.

მშობლებთან სწორი ფორმით შეხვედრა და გულთბილი მისალმება მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, აქ იგულისხმება არა მხოლოდ სასიამოვნო ფიზიკური გარემო, ანუ არა მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილება, არამედ ისიც, როგორ მასპინძლობს სასკოლო საზოგადოება მშობელს, როგორი სასკოლო ატმოსფერო ხვდება მას.

მასწავლებლებმა უნდა გამოიმუშავონ ჩვევა, რომ მოსწავლის შესაქებად ტელეფონით დაუკავშირდნენ მის მშობელს ან გაუგზავნონ მოსწავლის საქებარი წერილი. მშობლების ბედნიერებას საზღვარი არ აქვს, როცა მასწავლებელი უგზავნის მათ ინფორმაციას შვილის წარმატების შესახებ. მშობლები რჩებიან კმაყოფილები და ხშირად – გაკვირვებულებიც, როცა მასწავლებელი ურეკავთ და მათ შვილს აქვს. სასურველია, მასწავლებლების/დამრიგებლების დახმარებით შეიქმნას მოსწავლეების ბლოგები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მშობლისთვის.

დააარსეთ მშობელთა კლუბები – მოუსმინეთ მშობლებს! სასურველია, შეიქმნას მშობელთა კლუბი. უმჯობესია, კლუბები დაკომპლექტდეს სხვადასხვა სქესის, ასაკის,

პროფესიისა თუ ეთნიკური წარმოშობის მქონე მშობლებისგან. მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე მშობლების ჩართვა (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი აზრის გათვალისწინება.

სკოლებმა, სადაც მშობელთა ჩართულობის ეფექტური პროგრამები არსებობს, მიიღეს მრავალი პოზიტიური შედეგი, როგორცაა: მოსწრების გაუმჯობესება; მაღალი დასწრება; მოსწავლეთა კარგი ყოფაქცევა; მშობლების ნდობის ამაღლება სკოლისა და სწავლებისადმი.

ბოლო წლებია მკვლევრები აქტიურად საუბრობენ **მასწავლებელთა თანამშრომლობის** გავლენაზე მოსწავლეთა მიღწევებსა და პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე. თანამშრომლობითი საქმიანობა მოიცავს სწავლების ყველა ასპექტს, მათ შორის დაგეგმვას, გადანყვეტილების მიღებასა და პრობლემის გადაჭრას. ყოველივე იწვევს კოლექტიური პასუხისმგებლობის გაზიარებას პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის. საქართველოს მასწავლებლების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათ მიერ გავლილი პროფესიული განვითარების აქტივობებიდან “არცერთი” ან “ზოგიერთი” იყენებდა პროფესიული განვითარების თანამედროვე მიდგომებს, მაგალითად თანამშრომლობით სასწავლო აქტივობებს, კვლევაში ჩართულობას, გრძელვადიან პროექტებს, დღეს კი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა ფოკუსირებულია აქტიურ სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაზე, რომლის მთავარი ფუნდამენტური ამოცანაა „სწავლა კეთებით“. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელი ფლობდეს სასწავლო გარემოში კვლევა-ძიების უნარ-ჩვევებს. ეს კი მოითხოვს გამოცდილების გაზიარების მზაობას, რომელიც არ მიიღწევა მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობის შედეგად. ამისთვის მნიშვნელოვანია კონსტრუირდეს თანამშრომლობითი გარემოს სტრუქტურა. როცა ვსაუბრობთ მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, ვგულისხმობთ აღნიშნული პროცესების მდგრადი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას, მათ თანმიმდევრულ განხორციელებას და მხარდაჭერას. სხვადასხვა ქვეყნის კვლევები

ცხადყოფს, რომ განათლების სისტემაში მზარდი ინვესტიციების ჩადება, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდა, სასწავლო კურიკულუმების მოდიფიცირება, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაცია გახდეს დამაკმაყოფილებელი და პირდაპირპროპორციული იყოს მოსწავლის დადებით აკადემიურ შედეგთან. უმთავრესად მნიშვნელოვანია, სასკოლო ბაზაზე დაინერგოს კონკრეტული, სამოქმედო ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან მიდგომებს და მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია „მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“, რადგან აქაც ცენტრალური ადგილი უკავია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სანდო, კოლეგიალური გარემოს ჩამოყალიბებას. თანამშრომლობა მასწავლებლებს შორის განაპირობებს და ზრდის პედაგოგის პროფესიული განვითარების ტემპს, თავის მხრივ კი ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა იღებს მაღალკვალიფიციურ მასწავლებელს. მასწავლებლის მაღალი კვალიფიკაცია კი პირდაპირ კავშირშია მოსწავლის დადებით აკადემიურ შედეგთან.

თანამშრომლობა, გამოცდილებისა და კვლევის შედეგების გაზიარება მიჩნეულია, როგორც პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ეფექტიან ფორმად; თანამშრომლობაში მოიაზრება მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების ეფექტური კომუნიკაცია მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით. მინდა ყურადღება გაამახვილო იმ სამ ფაქტორზე, რომლებიც თანამშრომლობას უფრო ეფექტურს ხდის, ვიდრე ინდივიდუალურ მუშაობას :

1) მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როცა სხვადასხვა მასწავლებელს აქვთ ერთნაირი მიდგომები და მოლოდინები მათ მიმართ.

2) ხანგრძლივი თანამშრომლობა და კომუნიკაცია ზრდის მასწავლებლის საგნობრივ და მეთოდურ კომპეტენციას.

3) თანამშრომლობა და კომუნიკაცია ხელს უწყობს სკოლის გუნდური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. ყოველივე ამისთვის სკოლაში უნდა არსებობდეს

თანამშრომლობითი კულტურა, რაც გამოვლინებას ჰპოვებს ყოველდღიურ პრაქტიკაში. იმისთვის, რომ ვისაუბროთ ნამდვილ და ეფექტურ თანამშრომლობაზე, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ინდიკატორებს:

- მასწავლებლები საუბრობენ სწავლა-სწავლების პრაქტიკის შესახებ, მათი საუბრები არის რეგულარული, კონკრეტული.
- პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობას, შემდეგ კი გამოთქვამენ საკუთარ აზრს და განიხილავენ ერთმანეთის გამოცდილებას.
- მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, განხორცილებაზე, მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებაზე.
- ისინი ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ხასიათდებიან მაღალი მიმღებლობით.

თანამშრომლობითი მიდგომა აღიარებს მასწავლებლის გადამწყვეტ როლს სკოლის გაუმჯობესების პროცესში. სწორედ ამიტომ იგი განიხილება, როგორც წარმატებული პროფესიონალური სწავლების გამოცდილება. ზოგადად, მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა გულისხმობს მასწავლებლების მუშაობას „ერთად გააანალიზონ და გააუმჯობესონ თავიანთი სასწავლო საქმიანობა... როდესაც ისინი კითხვების დასმის უწყვეტ პროცესში ერთვებიან, ეს გუნდს სიღრმისეული სწავლის პროცესში რთავს“.

§3. ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. არსებობს სწავლების მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია. გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ

ვარიანტებს, რომელთაგან საჭირო ვარიანტს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვანოდოთ მოსწავლეებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინლუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესსწარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თემისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც მოსწავლეს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში მოსწავლე შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დანვრისგან გამომდინარეობს განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედია საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით.

სიუჟეტურ-როლებიანი თამაში – ეს არის გაკვეთილზე გათამაშებული მცირე დადგმა, სპექტაკლი, რომლის მიზანია ბავშვისათვის უცნობი და უჩვეულო მოვლენების გაცოცხლება მათი გათამაშების გზით.

საკლასო დისკუსია დისკუსია საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლეთა ინიციატივას, უვინთარებს მათ რეფლექსურ აზროვნებას. დისკუსიის მეთოდით სწავლება, ტრადიციული მეთოდით სწავლებისგან განსხვავებით შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუთ მხარეს შეიცავს და დასკვნის გაკეთება უამრავი გზით არის შესაძლებელი.

განიხილავენ დისკუსიის შემდეგ ფორმებს:

„მრგვალი მაგიდა“ - მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4 -5 კაცი) ახდენს ურთიერთგაცვლას ერთმანეთთან და კლასთან.

„პანელური დისკუსია“ - რომელსაც უძღვება ჯგუფის მიერ წინასწარ დანიშნული ლიდერი.

„ფორუმი“ - მთელი ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ სანდისებზე.

„დებატები“ - აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათის დროს მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით.

პროექტები – ეს არის მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად წარმოებული სამუშაო, რომელიც მათ შეუძლიათ წარმოადგინონ გამოკვლევის, მოხსენების ან ლექციის, ლექსის, ნახატის, შექმნილი პროდუქტის (საგნის) სახით და ა.შ.

(კვლევა)

კვლევის მიზანი: მასწავლებლობის უფლების მოპოვებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმების შესწავლა ისტორიულ ჭრილში და კარიერული წინსვლისათვის თანამედროვე მიდგომების შესაბამისი სტრატეგიებისა და აქტივობების განსაზღვრა, მათი მიღწევის გზების შეთავაზება.

კვლევის ამოცანები: 1. ინფორმაციის მოპოვება კვლევებისა და სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. 2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი 3. ზოგადი სურათის წარმოჩენა. 4. პრობლემების განსაზღვრა. 5. სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის მასწავლებლის წარმართველი როლის დასაბუთება. 6. რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული წინსვლისათვის.

კვლევის მეთოდები: ინტერნეტ რესურსების მოძიება, დახარისხება და გამოყენება, ინტერვიუ, ანკეტური გამოკითხვა.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: „შპს კავკასიის ბიზნესის სკოლა“, სსიპ ქ.ქობულეთის N5 საჯარო სკოლა.

კვლევის მეცნიერული სიახლე: მასწავლებლის თანამედროვე გამოწვევების მიღების, პროფესიული ზრდის ეფექტიანი ფორმების, გზებისა და საშუალებების შერჩევა.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებისათვის არსებული წყაროების, უახლესი კვლევების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.


კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომში მასალები წარმოდგენილია ნიმუშების, სქემების, პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილების გაზიარების სახით.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წამოადგენს: სტუდენტები, მასწავლებლები, კერძოდ: კვლევის შედეგები დაეხმარება ბაკალავრიატის სტუდენტებს სწავლებისა და აღზრდის თეორიაში სემინარების მომზადებაში. განათლების მაგისტრებს შეეძლებათ გამოიყენონ ნაშრომი სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიაში, როგორც დამხმარე მასალა. საშუალო სკოლის მასწავლებელს სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

წარმოგიდგინო ჩემი მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს:

1.რა ფაქტორებია მთავარი სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის?

კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამა 1




ა) ტრენინგი + გამოცდა 58% ბ) მასწავლებლის გადამზადების პროგრამა 23%

გ) სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარების გრძელვადიან კურსები 10%

დ) საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება 9%

2. შეთავაზება პენსიონერებს- ჯილდო თუ სატყუარა?

კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამა 2




ა) ჯილდო 72%

ბ) სატყუარა 28%

3. როგორ ფიქრობთ გაამართლებს მასწავლებლის ასისტენტის პრაქტიკა პროფესიაში ახალი კადრების მოსაზიდად?

კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამა 3




ა) გაამართლებს 64%

ბ)საეჭვოა 25%

გ) არ გაამართლებს 11%

4. რა გამონწვევებს გვთავაზობს ინკლუზიური განათლება?

კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამა 3



ა) გვასწავლის როგორ და რა მეთოდებით ვასწავლოთ სსსმ მოსწავლეს 64%

ბ) სსსმ მოსწავლის ინტეგრაციას საზოგადოებაში 25 %

გ) ბოლომდე მაინც ვერ მოხდა ინკლუზიური სწავლების დანერგვა 11%

დასკვნები და რეკომენდაციები

- მასწავლებლობა შემოქმედებითი პროფესიაა, რომელიც მუდმივ გონებრივ მუშაობას, უდიდეს სულგრძელობას, ბავშვების სიყვარულს და საქმის უსაზღვრო ერთგულებას მოითხოვს
- აუცილებელია სისტემატური პროფესიული თვითანალიზი და თვითაღზრდა. თუ საფუძვლიან თეორიულ და მეთოდურ მომზადებას საგნის სფეროში თან არ ახლავს სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნა და კომუნიკაბელობა, მასწავლებელი საკუთარ საქმიანობაში მაღალ შედეგებს ვერ მიაღწევს.
- წარმატებული მასწავლებლის მიერ მოსწავლის ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში მასწავლებლის მაღალპროფესიონალიზმი და კარგი პიროვნული თვისებები ურთიერთპროპორციულია. მასწავლებელი უნდა იყოს ერთგვარი მოდელი იმისა, რასაც მოითხოვს მოსწავლეებისაგან.
- მასწავლებლის მხრიდან ზედმეტი სიმკაცრე და დირექტიული დამოკიდებულება გარკვეულ შემთხვევებში დადებით შედეგს სწრაფად იძლევა – მოსწავლე წყვეტს არასასურველ ქმედებას, თუმცა უყალიბდება ნეგატიური დამოკიდებულება მასწავლებლის, სკოლის და სწავლის მიმართ რაც თავისთავად უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესზე.
- მასწავლებლის იდეალი შეიცვალა: დადებითია ის, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დისტანცია შემცირდა, ჩამოყალიბდა ურთიერთობის უფრო მჭიდრო,

უშუალო ფორმები; უარყოფითია მასწავლებლის ზოგადი მსოფლმხედველობისა და ინტელიგენტურობის დაქვეითება

- მასწავლებლის ავტორიტეტზე ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლების პასიური მეთოდები. ეს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის დისტანციას ქმნის და აგრეთვე ეფექტურ უკუკავშირს აძნელებს

- პედაგოგიური მოღვაწეობისას თუ მასწავლებელი გააცნობიერებს მისთვის ავტორიტეტული პედაგოგის თვისებებს, უნარებს, გამოყენებულ მეთოდებსა და ხერხებს. ეს ხელს შეუწყობს ამ მეთოდების და უნარ-ჩვევების არა მარტო პროდუქტიულ დანერგვას საკუთარ პრაქტიკაში, არამედ მათ შემოქმედებით შევსებასა და განვითარებას.

- მასწავლებელსა და მოსწავლის მშობლებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას თავისი მყარი საფუძველი აქვს. ეს გახლავთ ოჯახსა და სკოლას შორის არსებითი განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და მუშაობის აგება ამ განსხვავებული ნიშნების გათვალისწინებით.

- მასწავლებლისა და მოსწავლის მშობელს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების მთავარი მოტივია მასწავლებლის ერუდიცია. მასწავლებელმა არა მხოლოდ ცოდნით, არამედ განათლების ძალით, ერუდიციით უნდა დააარზუნოს მშობელი თავისი რეკომენდაციების ჭეშმარიტებაში.

- სწავლების შესაცვლელად საკმარისი არ არის საუკეთესო კადრების შერჩევა, საჭიროა პედაგოგებმა მოახდინონ ადაპტაცია განათლების სისტემის მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად.

- აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პედაგოგთა პროფესიულ ზრდასთან დაკავშირებული დანახარჯები – როგორც ფინანსური, ასევე დროის.

ლიტერატურა

1. თამარ დოგრაშვილი- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელნაწერის 13.00.01 .
2. გამოცდების ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა 2010.
3. სოფიკო ლობჯანიძე, მაია ფირჩხაძე, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალიაშვილი. მასწავლებლის წიგნი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016
4. პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი თბილისი 2016.
5. გიორგი ლომოური, ხატია ხატიაშვილი, გიორგი ზედგინიძე, ასისტენტ პროფესორი- მასწავლებელთა თანამშრომლობის გაუმჯობესება PBL - ით (Project – Based – Learning) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2016.
6. კახა ჟღერტი- მასწავლებლის პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა. მსოფლიო გამოცდილება. (მეთხე ნაწილი) 23 მაისი, 2014.
7. მაია ჯალიაშვილი - მოსწავლე და პედაგოგი – ურთიერთობის ეთიკა 30 ივლისი, 2018
8. USAID G-PriEd რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის- მშობელთა ჩართულობა, თბილისი, 2015.
9. ზაქარია ქიტიაშვილი- ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991 – 2013 წლები, თბილისი, 2011.
10. სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი, თბილისი, 2011.
11. <https://edu.aris.ge/news/moswavleta-mosazreba-rogori-unda-iyos-kargi-pedagogi.html> -მოსწავლეთა მოსაზრება: როგორი უნდა იყოს კარგი პედაგოგი?

12. <http://mastsavlebeli.ge/?p=2517>-სოფიკო ლობჯანიძე – კოლეგებთან თანამშრომლობა – წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა
13. <https://edu.aris.ge/news/maswavleblis-profesiuli-etikis-kodeqsi.html>
მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი
14. <http://mastsavlebeli.ge/?p=2014> მასწავლებლის პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა. მსოფლიო გამოცდილება. (მეოთხე ნაწილი)
15. <http://mastsavlebeli.ge/?p=2166> საგანმანათლებლო ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციები მერაბ ლაბაძე
16. <http://mastsavlebeli.ge/?p=1820> მასწავლებლების შეფასება – საერთაშორისო გამოცდილება- (მესამე ნაწილი)
17. <https://edu.aris.ge/news/gogebashvilis-metodis-paradoqsi.html> „გოგებაშვილის მეთოდის“ პარადოქსი
18. <http://mastsavlebeli.ge/?p=2536> სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები
19. <http://mastsavlebeli.ge/?p=21215> მასწავლებელი რეფორმის მთავარი მოკავშირეა. რეფორმა მისი მონაწილეობით უნდა განხორციელდეს
20. <http://www.tabula.ge/ge/story/79176-mastsavleblis-profesiis-dabadeba>
მასწავლებლის პროფესიის დაბადება
21. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4570026?publication=0&fbclid=IwAR0lW6nPuJmzlyyUCrXaFlHwYT0LidXaywIX6YNFJ2XpV8azV4Y3pHI-v4w>
მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ